საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიფცვაა, ფცუიღებით და ჭიარებით ბუჩთის გაფანა ყველა უკარისიბებაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 1 მარტი. 2016 წ. №39 (7931), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

რასაც ჩვენს გაზეთისკენ, სხვანაირ ვერ ნახავთ!

ნებისმიერი ხელისუფლება ან სიკეთის წყაროა, ან – ბოროტებისა!..

4

ისტორია ცხადყოფს, რომ ქვეყნის ძლიერება და განვითარების პერსპექტივა არსებითად საზოგადოების კონსოლიდაციასა და მონოლითურობაზეა დამოკიდებული, რაც სამართლიანობის, სამშობლოს სიყვარულისა და გამაერთიანებელი ეროვნული იდეის გარეშე შეუძლებელია.

ილია II:

ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ჩვენი ქვეყნის დიდი ტკივილია

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ესპანეთის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე ევროკავშირში ინტეგრაციასა და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე ისაუბრა.

— ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ საქართველო ევროკავშირის წევრი გახდეს, ეს მალე მოხდება. ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ჩვენი ქვეყნის დიდი ტკივილია, — განაცხადა პატრიარქმა.

პატრიარქის განცხადებით, **ქვეყნის სუვერენიტეტზე ვლადიმერ პუტინთანაც ჰქონდა საუბარი და ამბობს, რომ ეს პრობლემა გადაუჭრელი არ უნდა დარჩეს.**

ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კი აღნიშნა, რომ საქართველო მალე უნდა გახდეს ევროპული ოჯახის წევრი. ამასთან ერთად, ხოსე მანუელ გარსია მარგამ საქართველოს მხარდაჭერა გამოუცხადა და აღნიშნა, რომ ტერიტორიული მთლიანობა ხელშეუხებელია.

ოჯელოს სინდრომი

3

„ფრონტერამ“ ამჯერადაც მოგვატყუა?!

6

რეალობა კი ასეთია

ვამოწმოთ და ვმართოთ ქართული მიწა!

5

შეკოწიწებულ საარჩევნო კოალიციას ქართველი ხალხი ხმას აღარ მისცემს!

7

9

რატომ და ვინ გააუქმა მრავალშვილიანობის სტატუსი და ფულადი დახმარება?

რამ დაინტერესა ესპანეთი?

ესპანეთის სამეფოს საგარეო საქმეთა და თანამშრომლობის მინისტრმა ხოსე მანუელ გარსია-მარგაიომ საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან შეხვედრისას განაცხადა, რომ საქართველომ რეგიონული ჰაბის ფუნქცია უნდა შეიძინოს.

მინისტრის თქმით, ესპანეთი საქართველოს ძლიერი მხარდამჭერია, მათ შორის, ევროკავშირთან ვიზის ლიბერალიზაციის პროცესში.

მხარეებმა ორ ქვეყანას შორის არსებულ თანამშრომლობაზე ისაუბრეს და დადებითად შეაფასეს პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ და სხვა სფეროებში პარტნიორობა.

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, მისასალმებელია ესპანეთის სამეფოს პოლიტიკური გადაწყვეტილება, საქართველოში საელჩოს გახსნასთან დაკავშირებით და ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯი — თბილისში საქმეთა დროებითი რწმუნებულის დანიშვნა.

სახელმწიფოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ესპანეთის სამეფოს საგარეო და თანამშრომლობის მინისტრთან ხოსე მანუელ გარსია-მარგაიოსთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრისას მხარეებმა საქართველოსა და ესპანეთს შორის არსებული ურთიერთობა და ეკონომიკური - ტურიზმისა და სავაჭრო, ასევე განათლებისა და კულტურის მიმართულებებით თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივა განიხილეს. ხაზგასმით აღინიშნა ორ ქვეყანას შორის უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის მნიშვნელობა.

ესპანეთის სამეფოს საგარეო და თანამშრომლობის მინისტრის განცხადებით, ესპანეთი მუშაობს საქართველოში სრულფასოვანი დიპლომატიური მისიის გახსნაზე მიმდინარე წლის განმავლობაში, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებას.

ჩვენს კონფლიქტებს განიხილავენ

ეუთოს მოქმედი თავჯდომარე, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე ანგარიშით წარდგება.

აზერბაიჯანული სააგენტო Haqqin.az-ის ინფორმაციით, მოსალოდნელია, რომ წელსაც დისკუსიის ცენტრალური ადგილი უკრაინაში შექმნილი ვითარება გახდება.

გარდა ამისა, შტაინმაიერი საქართველოსა და დნესტრისპირეთის კონფლიქტებს და მთიან-ყარაბაღში შექმნილ ვითარებასაც შეეხება.

„აბრეშუმის გზა — ეკონომიკური სარტყელი“

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დავით აფციაური ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ლი ჰუილაის შეხვდა.

საქართველოს საგარეო უწყების ინფორმაციით, შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო „აბრეშუმის გზა — ეკონომიკური სარტყელი“ ინიციატივის ფარგლებში მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების საკითხებს. ამ კონტექსტში, მხარეებმა დადებითად შეაფასეს და მიესალმნენ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული ოფიციალური მოლაპარაკებების დაწყებას.

მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს ორმხრივ ურთიერთობებში ბოლო წლებში მიღწეული მკვეთრი პროგრესი და ხაზი გაუსვეს თანამშრომლობის მნიშვნელოვან გააქტიურებას ყველა მიმართულებით (ინვესტიციები, ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა, კულტურა, ფინანსები, განათლება, ჯანდაცვა და სხვა).

მამუკა ახვლედიანს გიორგი მიქაუტაძე შეცვლის?

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის მამუკა ახვლედიანის შემცვლელად გიორგი მიქაუტაძე დაასახელა.

მოსამართლე გიორგი მიქაუტაძის კანდიდატურა ლევან მურუსიძემ წამოაყენა. მიქაუტაძე ამ დროისთვის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას ხელმძღვანელობს. მიქაუტაძე 2006-2010 წლებში მუშაობდა ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორად, 2010 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სამდივნოს უფროსად.

საბჭოს გადაწყვეტილება არც მედიისთვის და არც საბჭოს წევრების ნაწილისთვის არ იყო ცნობილი. ვახტანგ მჭედლიშვილმა საბჭოზე განაცხადა, რომ ამის შესახებ დასახელების შემდეგ გაიგო...

თბილისის მერიამ სადისტრიბუციო კომპანიებთან მემორანდუმი გააფორმა

თბილისის მერიამ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციასთან და სადისტრიბუციო კომპანიებთან მემორანდუმი გააფორმა. მემორანდუმს ხელი თბილისის მერმა დავით ნარმანიამ, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის და სადისტრიბუციო კომპანიების წარმომადგენლებმა მოაწერეს.

აღნიშნული ინიციატივით, მერია სადისტრიბუციო მანქანების მოძრაობის საპილოტე, საცდელ რეგულირებას იწყებს. რეგულირება გულისხმობს 2016 წლის 15 მარტიდან 1 სექტემბრის ჩათვლით თბილისის 17 ქუჩაზე (აბაშიძე, ფალიაშვილი, ბარნოვი, დოლიძე, ცინცაძე, ნუცუბიძე, შარტავა, კოსტავა, პეკინი, გამსახურდია, მარჯანიშვილი, აღმაშენებლის გამზირი, ჯავახეთი, ხიზანიშვილი (მ.ახმეტელის ორივე მხარე), ლესელიძე, ლეონიძე, ასათიანი) 17:00 საათიდან 20:00 საათამდე დისტრიბუციის განხორციელების მიზნით სადისტრიბუციო მანქანების მოძრაობის შეზღუდვას.

„ჩვენ დღეს მნიშვნელოვან მემორანდუმს მოვაწერეთ ხელი, რომლითაც ორივე მხარე იმ ძირითად პრინციპებზე შევთანხმდებით, როგორიც არის ქალაქის ტერიტორიაზე სადისტრიბუციო ავტომანქანების გადაადგილებასთან დაკავშირებით გარკვეული წესრიგის დადგენა. ეს გულისხმობს 2016 წლის 15 მარტიდან 1 სექტემბრის ჩათვლით 17:00 საათიდან 20:00 საათამდე მოძრაობის შეზღუდვას. ჩვენ ავიღეთ ვიწრო ქუჩები, რადგან აღნიშნულ ქუჩებზე პიკის საათებში დამატებით სადისტრიბუციო მანქანების შესვლა და გაჩერება დამატებით სირთულეებს ქმნის. ეს საკითხი ქალაქისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და დიდი მადლობა მინდა ვუთხრა თითოეულ თქვენგანს, რომ ადეკვატურად უპასუხეთ აღნიშნულ საკითხს, რათა თითოეული ჩვენი მოქალაქისთვის გადაადგილების თვალსაზრისით არსებული დისკომფორტი შევამციროთ“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

ტყიბულის შახტების კონსერვაცია მიუღებელია!

ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი ელისო ჩაფიძე ტყიბულში იმყოფება და მოლაპარაკებებს მართავს როგორც „ჯი აი ჯი“ წარმომადგენლებთან, ასევე გაფიცულ მეშახტეებთან. ჩაფიძე ინდუსტრიული ჯგუფის განცხადებას გამოეხმაურა იმასთან დაკავშირებით, რომ შახტის პარალიზების გამო, მენეჯმენტი იძულებულია, გარკვეული უბნების კონსერვაცია განიხილოს.

„დიდი იმედი მაქვს, რომ მხარეები მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდებიან. ტყიბულის შახტების კონსერვაცია მიუღებელია ჩვენთვის. მხარეებს ვთავაზობ, რომ მემორანდუმი, რომელიც გაფორმებული

იყო კომპანიასთან, სასამართლოში წავიღოთ სამუშაო პროცესის განახლების პარალელურად,“ — განაცხადა ელისო ჩაფიძემ.

ტყიბულში მეშახტეების გაფიცვა მეთექვსმეტე დღეა მიმდინარეობს. გაფიცულები შახტის გარკვეული უბნების შესაძლო დახურვის შემთხვევაში სახელმწიფოსგან ითხოვენ, შახტა ტყიბულელებს გადაეცეს.

ერიჰაა! სანდრა რულოვსი „ნაციონალური მოძრაობის“ სიის სათავეში იქნება

„ტვ პირველი“ და ინგა გრიგოლიას ახალი ამბები საპარლამენტო არჩევნებზე „ნაციონალური მოძრაობის“ სიის სავარაუდო პირველ ხუთეულზე ინფორმაციას ავრცელებს.

ინგას ინფორმაციით, სანდრა რულოვსი „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიის ლიდერი იქნება.

სიაში იქნებიან ადვოკატი ოთო კახიძე, სამართალმცოდნე ზაზა ბიბილაშვილი, თბილისის მერობის ყოფილი კანდიდატი ნიკა მელია, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით ბაქრაძე და პარტიის აღმასრულებელი მდივანი სერგო რატიანი. სავარაუდოდ, სიაში იქნება ეროვნული ბანკის უკვე ყოფილი პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე.

* * *

სანდრა რულოვს აქვს დიდი დამსახურება ქართველი ერის წინაშე, მისი კომპეტენცია და ინტელექტი იძლევა საფუძველს, რომ ის პოლიტიკურ საქმიანობაში იყოს ჩართული, — ასე აფასებს პოლიტოლოგი ნიკა ჩიტიძე მედიანიუსთან საუბარში, კულუარებში გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ საქართველოს ყოფილი პირველი ლედი სანდრა რულოვსი, პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ განახლებულ სიაში პირველ სამეულში მოხვდება.

ამასთან პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ ეს ცვლილება შეიძლება დადებითად აისახოს პარტიის რეიტინგზე, თუმცა, რადიკალური ცვლილება მოსალოდნელი არ არის.

„პარტიის რეიტინგზე ეს ცვლილება, შეიძლება დადებითად აისახოს, იმიტომ, რომ საღად მოაზროვნე მოქალაქეთა მხრიდან, რულოვსი პატივისცემას იმსახურებს. ზოგადად სიის ჩანაცვლება, შეიძლება „ნაციონალური მოძრაობისთვის“ დადებითად აისახოს. ვერ გეტყვით, რომ ეს ვითარებას მათ რეიტინგს რადიკალურად შეცვლის და 10-15% აამაღლებს, მაგრამ გარკვეული საფუძვლები არსებობს იმისა, რომ ეს ცვლილება მათ რეიტინგზე დადებითად აისახოს...

◎ რატომ სასაფლაოზე?!

როგორც ელისო კილაძის სანდო წყარომ შემთხვევით გვაცნობა...

პეტრიაშვილ ალექსის კაცობა დაუზიანეს?!.

ღმერთმანი, სულ არ ვაპირებდი ამ თემაზე რისამე დაწერას. მართალია, ექიმები მთლად ნათლად და გასაგებად არ ლაპარაკობენ ტელევიზიის საშუალებით, თუ კერძოდ სად დაჭრეს სასაფლაოზე გუშინდელი თავაწყვეტილი მეოცნებე, დღეს თავისუფალი დემოკრატი ალექსი პეტრიაშვილი, მაგრამ ეს ოხერი სანდო წყაროები რის წყაროებია, თუ ყველაფერი ძირისძირობამდე არ გამოჩხრიკეს და მავანთაგან განზრახ მიყურისძირებული ამბავი ყველას ყურამდე არ მიიტანეს, ანუ როგორც ქართლ-კახეთში იტყვიან, არ გააბოლდარავეს.

რაც შეეხება ზემოხსენებულ სანდო წყაროს, პირდაპირ დაუჯერებელი რამ მოხდა. „საქართველოს რესპუბლიკაში“ რაღაც უჩვეულოდ გაბმული ზარი აწკრიალდა:

— ალო, ალო, გაზეთია?

— რა ხდება?

— „ქრონიკა+“-ია?

— ვინ გინდათ?

— ქალბატონ ელისო კილაძეს სთხოვეთ! — კაცის ხმის გაგონებაზე დამრეკველმა ქალბატონი ელისო ითხოვა ყურმილთან. — წყარო ვარ უშიშროებიდან.

უცებ გონება გამინათდა, არ დავიბენი.

— ქალბატონი ელისო ბატონ გიორგი კვირიკაშვილის ზარს ელოდება. წუთი წუთზე უნდა დაურეკოს და მთხოვა, მე ჩამეწერა, თუ თქვენ დარეკავდით.

— თქვენი გვარი?

— თქვენ ხომ იცით, რომ „ქრონიკა+“-ში ყველაფერი გასაიდუმლოებულია, თვითონ ქალბატონ ელისოს გარდა.

— კარგი, კარგი. პეტრიაშვილის დაჭრასთან დაკავშირებით გირეკავთ.

— რაო? ვინ ესროლა მაგ უბედურს? დიდი ბნელი რამ არის ეს პოლიტიკა.

— არა, ამ შემთხვევაში პოლიტიკა არ ჩარეულა. ეს უფრო რომანტიკულ-ეროტიკული ამბავია.

— როგორ რომანტიკულ-ეროტიკული?

— როგორ და, საცა სექსი პარტიზანულად ჩაერევა, გენაცვალე, იქ იწერება ტრაგიკული ლექსი და ცხვება სააღაპო კექსი, ანუ ლექსიც სისხლიანი გამოდის და სიყვარულის კექსიც სისხლით იზილება.

— ესე იგი, აქ რაღაც რთულად ჩანს საქმე.

— დიახ, დიახ, მაგ უკვე ზრდასრულთა ტრფობა, ეტყობა, ოტელოს ეჭვმა გაჟღინთა, თუ გინდა, აამღვრია-თქო, თქვი, და დაატრიალა ტრაგედია სასაფლაოზე. თუ კაცობის სიკვდილია საჭირო, ბარემ სასაფლაოზე მოხდესო, და ეს გაუგონარი ამბავი აკი სწორედ სასაფლაოზე მოახდინა სიყვარულგაღვიძებულმა ძველმა საყვარელმა...

— უფრო გასაგებად თუ იტყვით, „ქრონიკა+“-ის მკითხველისთვის ბევრად აჯობებს, თანაც ხომ იცით, ქალბატონ ელისოს ძალიან ბუნდოვანება მაინცდამაინც არ უყვარს. ცოტა კი, ბატონო, თემის გაგრძელების მიზნით.

— მაშ ასე აჯობებს: ერთ-ერთი ძველი სიყვარულის ერთ-ერთმა ძველმა საყვარელმა არ აპატია პეტრიაშვილს ახალი სიყვარულობანა — რაყიფობა, ანუ სიყვარულში მეტოქეობა და სროლა ქვევიდან ზევით-ზევით დაუწყო, სანამ ის მთავარი მტერი, ანუ სანამ ის მოწინააღმდეგე საოხრო არ გამოუყვანა მწყობრიდან, მანამ არ მოეშვა...

ვინაიდან იმ საოხროს პირდაპირი სახელდება, ცოტა არ იყოს, უხერხულია, თანაც პრესაში, ამიტომ პოლიციამაც და ექიმებმაც არჩიეს ასეთი ფორმულირება: თავისუფალი დემოკრატი ალექსი პეტრიაშვილი უცნობმა პირმა ძალიან უხერხულ ადგილას დაჭრა.

ახლა, ჩვენ კი არა, მოზრდილებმა, უკვე პატარა ბავშვებმაც იციან, რას ნიშნავს კაცის უხერხულ ადგილას დაჭრა. ამიტომ დაფარვასა და დამალვას ნამდვილად აზრი არა აქვს.

რასაკვირველია, ცუდი ამბავი მოხდა, მაგრამ, რა ვუყოთ, ჯერ კიდევ უძველესი დროიდან მოკიდებული, შაჰებისა და შაჰინშაჰების კარზე საჭურისების ტევა არ იყო, რასაც მთავარი საქმისთვის ხელი არ შეუშლია... მოკლედ, ფრიად მნიშვნელოვანია, რომ ადამიანი გადარჩა, ცოცხალია, და 2016 წლის არჩევნებში იმონაწილეებს ოცნებისგან განდგომილ თავის პარტიასთან ერთად, რა თქმა უნდა, გამარჯვების იმედით.

რაკი, როგორც „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველმა იცის, რომ ჩვენ ასეთ „სანდო წყაროებს“ მაინცდამაინც არ ვენდობით, უფრო სწორად, უნდობლად ვეპყრობით, ამიტომ მასალას უცვლელად ვბეჭდავთ როგორც „ქრონიკა+“-ის სანდო წყაროს ინფორმაციას (ცხადია, უშიშროებიდან!).

ქალბატონი ელისო კილაძე, ალბათ, გაგვიბრაზდება და, ალბათ, თავის სანდო წყაროს ჩვენს გაზეთზეც მოაპოვებინებს ჩვეულებისამებრ, რამე სახელგამტეხ მასალას, მაგრამ რა ვუყოთ, როგორმე გავუძლებთ, ელისო კილაძისგან ჩვენი საზოგადოება უკვე მიჩვეულია სანდო წყაროებში სამარცხვინო ჭყუმპალაობას.

გურამ წიკლაური

◎ „ყრუთა“ გასაგონად!

ვითარც მგლის თავზე წაკითხული სახარება!

მერწმუნეთ, გნაცმოძრაობელო „დედმამიშვილებო“, სინდისი მაინც კარგი საქონელია!

ბოლო ხანს, როდესაც გნაცელები ტაძარში თუ მის სიახლოვეს მინახავს, ხშირად ამკვიატებია ხოლმე კითხვა — ესენი მართლაც შინაგანად არიან მორწმუნენი, თუ სხვათა თვალის ასახვევად იწერენმეთქი პირჯვარს! გამჩენია კი ეს კითხვა იმიტომ, რომ ნაღდი ეკლესიურნი, ჭეშმარიტი მართლმადიდებლები ვერ და არც იკადრებდნენ იმდენ ბოროტებას, სიცრუეს, სიყალბეს თუ უამრავ სხვა უკეთურობას, ქრისტიანულ მორალსა და ათ მცნებასთან რომ არაფერი აქვთ საერთო.

ამის დამადასტურებელი უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ მხოლოდ ერთს, სულ ბოლოდროინდელს — ალექსი პეტრიაშვილზე თავდასხმის ფაქტს და მის გამო ატეხილ მითქმა-მოთქმას შევეხები.

რა თქმა უნდა, რაც მოხდა, ძალიან ცუდი ფაქტია, რა მიზნითა თუ მიზეზითაც არ უნდა მომხდარიყო იგი.

მაგრამ არანაკლებ ცუდია ის რეაქციაც, ცალკეული პოლიტიკოსებისგან, მით უფრო, გნაცმოძრაობელებისგან, რომ მოჰყვა მას.

პოლიტიკური მოტივაციაო, მკვლელობის მცდელობაო, ოპოზიციის დაშინების მიზნით ჩადენილი დანაშაულიო...

გამოძიება ხეირიანად ჯერაც რომ არ დაწყებულიყო, არიქა, პრემიერ-მინისტრმა მიგვიღოს და დაგველაპარაკოს, ძიება ტენდენციურად არ წავიდესო და ა. შ...

ცხადია, არაფერს ვამტკიცებ, მაგრამ მოკვლა რომ ნდომოდათ, რაღა მაინცდამაინც ფეხებსა და ლაჯებში ესროდნენ, სხეულის ლაჯზევითა ნაწილი უკეთესი სამიზნე არ იქნებოდა?

თუმცა თემას ავცდით! გამაოცა და, შეიძლება ითქვას, კიდეც გამაცოფა გნაცელი „დედმამიშვილების“ (ასე იმად მოვიხსენიებ, რომ ერთი მამის „შეკვეთილი“ სიამის ტყუპებივით ჰგვანან ისინი ერთმანეთს თავიანთი პოზიციითა თუ საუბრით, რასაც მხოლოდ ერთ პარტიულ პლატფორმაზე დგომით ვერ გაამართლებ!), პირდაპირ ვიტყვი, ურცხვობა-უტიფრობამ.

— როგორ შეიძლება, რომ დღისით-მზისით პოლიტიკოსს შუა ქალაქში თავს ესხმოდნენ და სასიკვდილოდ იმეტებდნენ, განა ჩვენი მთავრობის დროს ეს მოხდებოდაო? — ისეთი ტონით ამბობდა ყვარყვარე დავით ბაქრაძე, თითქოს გნაცმოძრაობის მიერ დატრიალებული ყველა უბედურების შემსწრე-თვითმხილველი საქართველოს მოსახლეობის კი არა, უცხოპლანეტელთა წინაშე გამოდიოდა, რომლებსაც არაფერი მოეხსენებოდათ მიშისტთა ავკაცობისა.

ვთქვი და ახლაც ვიმეორებ — რაც მოხდა, ძალიან ცუდი და ალმაშფოთებელია, მაგრამ მართლაც არაფერი მომხდარა ამგვარი თუ ამაზე უარესიც თქვენი ზეობის დროს, გნაცელო დავით?

ცხონებული გურამ შარაძე სად და როდის მოკლეს?

დღისით და ქალაქის ცენტრში ხომ?

პოლიტიკოსი გაიმეტეს სასიკვდილოდო!

განა პოლიტიკოსი არ იყო ვალერი გელაშვილი, სპეცდანიშნულების რაზმის წევრებმა ცემით ლამის რომ მიასიკვდილეს?

ესეც ხომ დღისით-მზისით და ქალაქის ცენტრში მოხდა?

გამოიძია ეს ფაქტები ვინმემ მაშინ და დასაჯეს დამნაშავენი?

ეს არის, ჩვენი მთავრობის დროს სიწყნარე იყო და დანაშაული არ ხდებოდაო?

მაგრამ „ყრუებს“ შეასმენ რამეს?

ან მგლის თავზე სახარების კითხვით შემოატრიალებ ტყისგან ამ ორფეხას?

და ბოლოს, ყოველივე ამის შემდეგ, ცხადია, არანაირი აზრი არა აქვს გნაცელთათვის იმის შეხსენებას, რომ სინდისი კარგი საქონელიაო.

ამიტომ ერთსლა ვიტყვი: როგორი მართლებიც იყავით და ხართ, იმ სიმართლით გაგიმარჯვდეთ წლევანდელ პარლამენტის არჩევნებში, გნაცმოძრაობელნო!

რუსლან რუსია

◎ უკრაინაში ქაოსი გრძელდება

სანდრო კვიტაშვილი: ბოლო დროს საკაშვილი რატომღაც ძალიან გულმავიწყი გახდა

უკრაინული გამოცემა „РБК-Украйна“ საქართველოს ყოფილ და უკრაინის მოქმედ ჯანდაცვის მინისტრ ალექსანდრე კვიტაშვილთან ინტერვიუს აქვეყნებს.

„ნიუსპრესი“ გთავაზობთ ამონარიდებს ინტერვიუდან:

— როგორი გრძნობა დაგეუფლათ მინისტრთა კაბინეტის გადადგომის მოთხოვნის ჩავარდნის შემდეგ?

— ნდობისა თუ უნდობლობის გამოცხადება — ეს ნორმალური მსოფლიო პრაქტიკაა, მაგრამ როცა პარლამენტის სხდომას ვაკვირდებოდი, ძალიან გამაოგნა დეპუტატების დამოკიდებულებამ მთავრობის წევრებისადმი. ეს ჩემთვის კოშმარულ სიზმარს ჰგავდა. ასეთ შეურაცხყოფას არავინ არ იმსახურებს... მე მესმის, რომ დეპუტატებს უნდათ უკრაინელ ხალხს დაანახონ, რომ აი, რა კარგად ვიცავთ თქვენს ინტერესებსო, მაგრამ როცა მე „დაწყევლილს“ და სულელს“ მიწოდებენ, უსინდისოდ მთვლიან, ეს უკვე გადაჭარბებულია. კრიტიკასაც აქვს თავისი საზღვრები, ეთიკა უნდა დავიცვათ... გულახდილად გეუბნებით, არ ვიცი ამ ადამიანებთან მომავალში როგორ ვიმუშავებ...

ყველა დეპუტატს შეუძლია ჰქონდეს განსხვავებული დამოკიდებულება პრემიერ-მინისტრ არსენ იაცენიუკის მიმართ, მაგრამ ეს ხომ შენი ქვეყანაა, პარლამენტში ხომ დეპუტატი საკუთარ ხალხს წარმოადგენს. ასეთი ქცევა დაუშვებელია. იმ საღამოს მთავრობის ყველა წევრი შევიკრიბეთ, ყველანი შოკში ვიყავით... ასეთი შეურაცხყოფის გადატანას ვერავინ შეძლებს. ჩვენ ხომ ოჯახები გვყავს, ისინიც ხომ უყურებენ ამ ყველაფერს... ემოციებს თუ გვერდზე გადავდებთ, კოალიცია დაიშლება თუ არ დაიშლება (მასში ხუთი სუბიექტიდან ორი დარჩა), ვიტყვი, რომ უკრაინას მაინც ქმედითუნარიანი მთავრობა ჰყავს. რასაკვირველია, პარლამენტის მხარდაჭერის გარეშე ჩვენ მუშაობა გაგვიჭირდება, მაგრამ რადგანაც მთავრობის წევრებს დეპუტატებზე უფრო მეტი პასუხისმგებლობა გვაკისრია, მუშაობას გავაგრძელებთ.

— ამას წინათ გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა უკრაინაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობა გააკრიტიკა....

— ბოლო დროს მიხეილ სააკაშვილი რატომღაც ძალიან გულმავიწყი გახდა. მას ვითომ აღარ ახსოვს, რამდენი წელია, საქართველოში სავალუტო ფონდი მუშაობს. მას აღარ ახსოვს, რამდენი ფული მიიღო საერთაშორისო სავალუტო ფონდისაგან საქართველომ, განსაკუთრებით 2008 წლის ომის შემდეგ. რასაკვირველია, კრედიტების აღება სასიამოვნო არაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა კრედიტორი რაღაც პირობებს გიყენებს, მაგრამ რა უნდა ვქნათ, როცა ამჟამად უკრაინას, სავალუტო ფონდის გარდა, კრედიტებს სხვა არავინ აძლევს? ამიტომაც სავალუტო ფონდის მიმართ ნდობა არ უნდა დავკარგოთ, მით უმეტეს, სიტუაცია ქვეყანაში გაურკვეველია.

ჩემი აზრით, ყველა ჩვენმა ოპონენტმა, მთლიანად კოალიციამ ახალი კაბინეტის ახალი მინისტრის ყოველი კანდიდატურის მიმართ პერსონალური წინადადებები უნდა მოამზადოს. ეს იქნებოდა სწორი მიდგომა, თორემ გამოხვიდე პარლამენტში და ყველა ლანძღო — „ამას გავუშვებთ, იმას დავტოვებთ, ახალ მთავრობას შევქმნით“ და ა.შ. ასე არ შეიძლება. სანამ დეპუტატები კანდიდატებზე არ შეთანხმდებიან, მთავრობა თავის საქმიანობას გააგრძელებს. ასე ხდება ევროპის ქვეყნებში.

ნებისმიერი ხელისუფლება ან სიკეთის წყაროა, ან – ბოროტებისა!..

1 ნაწილი

რეფორმებს უნდა ატარებდნენ პროფესიონალები და არა პოპულისტი პოლიტიკოსები

საქართველოში ათწლეულების მანძილზე განვითარებული მოვლენები კომუნიზმის „წარმატებით“ მშენებლობის ეპოქიდან დღემდე – კონფლიქტები, ტერიტორიების დაკარგვა, შიდაპოლიტიკური დაპირისპირებები და სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში არსებული კრიზისები ნათლად ადასტურებენ, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში ქვეყანას მართავდნენ არასახელმწიფოებრივად მოაზროვნე, ძალაუფლების მოპოვებასა და შენარჩუნებაზე მანიაკალურად ორიენტირებული არაპროფესიონალი, კარიერისტი პოლიტიკოსები, რომლებიც ემსახურებოდნენ „პატრონის“ და არა ქვეყნის ინტერესებს! ტერმინი „პატრონი“ შეიძლება მთლად კორექტული არ იყოს, მაგრამ მოვლენების უფრო ზუსტი გამომხატველი ვერ მოვძებნე. მოვლენის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ მთელი ამ პერიოდის მანძილზე მმართველი პოლიტიკური ძალები და მათი ლიდერები იმართებოდნენ საზღვარგარეთიდან და ახორციელებდნენ შეკვეთილ და არა მოსახლეობის ნების გამომხატველ საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

ეს ისტორიული ფაქტი სხვა გარემოებებთან ერთად განპირობებულია ქვეყნის შიგნით არსებული ძალების არაერთგვაროვნულობითა და დაქსაქსულობა-დაპირისპირებებით, ზოგადეროვნული იდეის არარსებობით. აღორძინების ეპოქის ცნობილი მოაზროვნე ნიკოლო მაკიაველის აზრით, **„მანიაკი, უპასუხისმგებლო და უსახო პიროვნება, რომელიც თავისუფალია ზნეობრივი, ეთიკური თვისებებისა და მორალისაგან, ადვილად იკავებს ლიდერის როლს“.** ამ ტიპის ლიდერებს, როგორც წესი, საერთო ნიშან-თვისებები ახასიათებთ. ნაპოლეონის ეპოქის ერთ-ერთი ასეთი ლიდერის და საფრანგეთის პირველი პოლიციელის ჟოზეფ ფუშეს ხასიათსა და თვისებებს სტეფან ცვაიგი ასე აღწერს: **„გულცივი ინტრიგანი და შემპარავი დემაგოგი, ურცხვი ცინიკოსი და ულმობელი ქონდაქარი – კაცი, რომელსაც არც ღმერთი სწამდა და არც სინდისი, რომელიც მეოთხედი საუკუნის მანძილზე ყველას ატყუებდა, ყველას ღალატობდა და ყოველთვის დროულად ასერხებდა მოწინააღმდეგის ბანაკში გადაბარგებას, ყოველთვის დემონური გამჭრიახობით ემსახურებოდა ძალაუფლებას და არასოდეს რაიმე იდეას. ბუნებით მოღალატე, უბადრუკი ინტრიგანი, მუცელზე მხოხავი ფლიდი, ხელობით გამცემი, გათახსირებული, ზნედაცემული პიროვნება“.** ამ თვისებებსა და ხასიათში მკვეთრად იკვეთება მეოცე საუკუნის და ჩვენი დროის ზოგიერთ ქართველ პოლიტიკურ ლიდერთა სულიერი პორტრეტი. სწორედ ამ თვისებების გამო ახერხებდნენ ისინი პოლიტიკურ ოლიმპზე ასვლასა და ძალაუფლების შენარჩუნებას, ამიტომაც ხდება ერისა და ბერის მიერ მათი მოღვაწეობის მეტ-ნაკლებად ობიექტური შეფასება, მხოლოდ ძალაუფლების დაკარგვის შემდეგ და არა ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში.

ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, რომ პიროვნების ინდივიდუალური თვისებები და ხასიათი პოლიტიკური კარიერისთვის არსებითია, მაგრამ არა – გადამწყვეტი. გადამწყვეტი მაინც ის ობიექტური მდგომარეობა და გარემოებებია, რომლებიც საზოგადოებაში რეალურად არსებობენ. დიდი ფრანგი ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი გიუსტავ ლებონი ამ მოვლენას ასე ხსნის: **„ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებაში მთავარ როლს თამაშობს ხასიათი და არა ჭკუა. საზოგადოების ცხოვრება იმ კანონებით იმართება, რომელსაც ხალხის ხასიათი ქმნის. სწორედ ხასიათი განსაზღვრავს ერის ბედს. ხალხს აქვს მმართველობის ის ფორმა, რომელსაც ის იმსახურებს“.** თუ ისტორიული განვითარების პრაქტიკით არაერთგზის დადასტურებულ ამ ჭეშმარიტ დებულებას გავიზიარებთ, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ საქართველოში განვითარებული მოვლენები და დღეს არსებული სავალალო მდგომარეობა ცალკეულ სუბიექტებზე და პოლიტიკოსებზე უფრო ქართული ხასიათით არის განპირობებული, ამიტომაც ქვეყანაში ვითარების შეცვლა რეალურად მთავრობის ან პოლიტიკური ლიდერის შეცვლაზე უფრო რთული და ძნელი პროცესია. ამ პროცესს ეროვნული ხასიათისა და თვისებების მნიშვნელოვნად შეცვლა და თანამედროვე მოთხოვნის შესაბამისად ჩამოყალიბება სჭირდება, რაც ზოგადეროვნული იდეისა და მიზნების გარეშე შეუძლებელია.

ამას ნათლად ადასტურებს გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში განვითარებული მოვლენები, როცა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების იდეამ ისტორიულად მცირე პერიოდში მოახდინა სხვადასხვა ნიშნით დაქსაქსული საზოგადოების არნახული კონსოლიდაცია ერთიანი ისტორიული მიზნის მისაღწევად. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ საქართველოში ამ იდეამ დაკარგა გამაერთიანებელი ძალის ფუნქცია, პოლიტიკურმა ელიტამ კი საზოგადოებას ანალოგიური ფუნქციის მატარებელი სხვა იდეა ვერ შესთავაზა და დაიწყო საზოგადოების დაყოფა- დანაწევრება ჯგუფური და კერძო ინტერესების საფუძველზე, რაც დაპირისპირებასა და სამოქალაქო ომში გადაიზარდა. ეს დაპირისპირება დღესაც გრძელდება, მაგრამ მას უფრო შენიღბული ფორმა და ბინძური ხასიათი აქვს და შედეგიც შეიძლება ქვეყნის ისტორიული პერსპექტივისთვის უფრო მძიმე და საბედისწერო აღმოჩნდეს. საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურეს, რომ პოლიტიკური განცხადებები, მოწოდებები და ლოზუნგები, ე.წ. დასავლური ფასეულობების დეკლარირება, ექსპერიმენტები და რეფორმები პრობლემებს რეალურად ვერ გადაწყვეტენ, თუ სათანადოდ არ იქნება გათვალისწინებული ერის ისტორიული მეხსიერება, მისი განვითარების თავისებურება, მენტალიტეტი და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა შემადგენელი. ამ ისტორიულ პროცესში ზოგადეროვნულ იდეასა და ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით სწორად განსაზღვრულ მიზანს უპირველესი მნიშვნელობა აქვს.

ფაქტია, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად ასპექტებში ქვეყანაში მდგომარეობა არსებითად გაუარესდა, რაც ნათლად იკვეთება შექმნილ მძიმე დემოგრაფიულ მდგომარეობაში, ეკონომიკის სფეროში, უმუშევრობაში, სოფლებიდან მოსახლეობის მიგრაციაში, განათლების, კულტურისა და ხელოვნების სფეროს პრობლემებში. საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაპირისპირება და უსამართლობის განცდა სულ უფრო მწვავე და მძაფრ ხასიათს იძენს, ასეთ ვითარებაში კი ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაზე მსჯელობა მოკლებულია ლოგიკურ საფუძვლებს. ისტორია ცხადყოფს, რომ ქვეყნის ძლიერება და განვითარების პერსპექტივა არსებითად საზოგადოების კონსოლიდაციასა და მონოლითურობაზეა დამოკიდებული, რაც სამართლიანობის, სამშობლოს სიყვარულისა და გამაერთიანებელი ეროვნული იდეის გარეშე შეუძლებელია. საზოგადოებაში ამ ფუნდამენტურ ფუნქციას ვერანაირი რეფორმა ვერ შეასრულებს, უფრო მეტიც, **რეფორმა მხოლოდ მაშინ არის წარმატებული და ნამდვილი შედეგის მომცემი, თუ ემყარება ეროვნულ იდეას, ერის ისტორიული მეხსიერებას, ითვალისწინებს ისტორიულ განვითარების თავისებურებას, ერის კულტურასა და ტრადიციებს. საქართველოს, დღევანდელ ქართველ საზოგადოებას მხოლოდ ახალი მძლავრი და ჭეშმარიტად ეროვნული იდეა გადაარჩენს, იდეა, რომელიც დაფუძნებული იქნება სამშობლოს სიყვარულზე, პატრიოტულ სულისკვეთებაზე, სამართლიანობასა და მაღალზნეობრივ პრინციპებზე. ამ იდეებისა და პრინციპების გარეშე თუნდაც ყველაზე მიმზიდველი და მოდური მოწოდებები და ლოზუნგები, ფასეულობები და ღირებულებები, რეფორმები და ექსპერიმენტები ქვეყნისა და ერისათვის უპერსპექტივო და დამღუპველია. იდეოლოგია, რომელიც დღეს დომინირებს ქართულ სინამდვილეში და უპირობოდ მხარდაჭერილია ვაშინგტონისა და ბრიუსელის მიერ, ღიად და აგრესიულად ეწინააღმდეგება ეროვნული ინტერესების უპირატესობის იდეას.** ამიტომაც ე.წ. დასავლურ ფასეულობებზე ორიენტირებული ლიბერალური ძალები სამარცხვინო და პროვინციულ მოვლენად მიიჩნევენ სამშობლოს სიყვარულს, პატრიოტიზმს, ერის ისტორიას და თვლიან, რომ ეს ყველაფერი შეუთავსებელია დასავლურ ფასეულობებთან. ფასეულობათა და ღირებულებათა ასეთი დაპირისპირება არაბუნებრივი და ხელოვნურია. ჭეშმარიტ ქართულ თვისებებში – ტოლერანტობა, სტუმარ-მასპინძლობა, პატიოსნება, ერთგულება და მრავალი სხვა, არაფერია დასავლურ, ჭეშმარიტად ადამიანურ ფასეულობებთან შეუთავსებელი. უნდა აღინიშნოს, რომ პატრიოტიზმი და ეროვნული ღირსებების პატივისცემა სულაც არ ნიშნავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოწყობის საქმეში დასავლური ფორმებისა და მეთოდების დანერგვისა და განვითარების უარყოფას. პირიქით, სასურველია, რაც შეიძლება სწრაფად და ეფექტურად იქნას გადმოტანილი სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობისა და ეკონომიკის მართვის დასავლური და საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტურ პრინციპებზე დაფუძნებული ფორმები, რამდენადაც სხვაგვარად შეუძლებელია ქვეყნის დემოკრატიული განვითარება და თითოეული ადამიანის რეალური თავისუფლების უზრუნველყოფა. ცხადია, ეკონომიკის გადაყვანა დასავლურ მოდელზე ვერ მოხდება რეფორმების გზით შესაბამისი სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბებისა და სახელმწიფო მმართველობითი სისტემის სრულყოფის გარეშე. ამ აუცილებლობას ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილე ყველა პოლიტიკური ძალა, სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაცია აღიარებს, მაგრამ მისი განხორციელების ფორმებსა და მეთოდებში მიდგომები რადიკალურად განსხვავებული და ურთიერთგამომრიცხავია.

პატრიოტულ, ეროვნულ ნიადაგზე მდგომი ე.წ. მემარცხენე ძალები მიიჩნევენ, რომ რეფორმები ქვეყნის ისტორიული წარსულის, მისი განვითარების თავისებურების, მოსახლეობის მენტალიტეტის და სხვა ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს ისე, რომ უპირატესი მნიშვნელობა ეროვნულ ინტერესებს მიენიჭოს. მეორე ნაწილი, ანუ ლიბერალური ძალები მიიჩნევენ, რომ რეფორმა უპირველესად უნდა ჩატარდეს ე.წ. დასავლური ფასეულობებისა და ღირებულებების საზოგადოებრივ ცხოვრებაში დანერგვის მიზნით, თუნდაც ქვეყნის ისტორიული წარსულის, ეროვნული თავისებურების და ტრადიციების წინააღმდეგ. **საქართველოს უახლოესი ისტორიის ანალიზი ცხადყოფს, რომ ქვეყნის მმართველი პოლიტიკური ძალების მიზნების განმსაზღვრელი უპირატესად იყო არა ქვეყნისა და ერის განვითარების ჭეშმარიტი ინტერესები, არამედ ძალაუფლების შენარჩუნების ეკონომიკური ბერკეტების ფლობის სურვილი.** მათი რიტორიკა, ქმედების ფორმები და მეთოდები რეალურად ამ ანგარებითი მოტივებით იყო ნაკარნახევი. საზოგადოებას კარგად ახსოვს გასული საუკუნის 90-იან წლებში ხელისუფლების მიერ თითქოსდა უანგარო და კეთილშობილური მიზნით საბანკო სისტემაში გატარებული რეფორმები, რომლის შედეგადაც მოქალაქეთა მიერ წლების მანძილზე დაზოგილი თანხები ერთი ხელის მოსმით გახდა სახელისუფლებო ბიუროკრატიული აპარატის მიერ შექმნილი კომერციული ბანკის, ფაქტობრივად, ნომენკლატურული პარტიული მუშაკის საკუთრება. იმავე წლებში პროკურატურას, რომელიც აღჭურვილი იყო ზედამხედველობის ეფექტური, მრავალგზის კარგად აპრობირებული და გამართული საშუალებებით, სრულიად დაუსაბუთებლად, ისევ რეფორმების ეგიდით ჩამოერთვა საერთო ზედამხედველობის ფუნქცია. შედეგად წარმოებათა ხელმძღვანელ საბჭოურ ნომენკლატურას მიეცა საშუალება სრულიად უკონტროლოდ და თვითნებურად დაუფლებოდა და მიეთვისებინა უბრალო, მშრომელი მოქალაქეების მიერ წლების მანძილზე შექმნილი სახელმწიფო საკუთრება. მრავალი სხვა მაგალითის მოტანა შეიძლება, მაგრამ ეს სცილდება წერილის მიზნებს. ე.წ. რეფორმების გზით სახელმწიფო ქონების გადანაწილების პირველი ეტაპი დაასრულა საბჭოთა ნომენკლატურის იმ ბიუროკრატიულმა სახელმწიფო აპარატმა, რომელმაც ძალაუფლება სამოქალაქო ომის შედეგად ჩაიგდო ხელში გასული საუკუნის 90-იან წლებში. უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობის იმავე პერიოდში გატარდა არაერთი პროგრესული ხასიათის რეფორმაც. კერძოდ, პროკურატურა ახალი კონსტიტუციით (1995 წლის 24 აგვისტო) შეყვანილი იქნა სასამართლო ხელისუფლების სისტემაში, რაც თავისთვად იყო სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისკენ მიმართული სწორი და მნიშვნელოვანი ნაბიჯი, სასჯელაღსრულების სისტემა მთლიანად იქნა გამოყვანილი შს სამინისტროს დაქვემდებარებიდან და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სტრუქტურად, სადაც საპოლიციო, მათ შორის, ოპერატიული (ე.წ. აგენტურული) საქმიანობა აკრძალული იყო. ამავე პერიოდში გაძლიერდა სასამართლოს საზედამხედველო ფუნქციები, გამოძიების სტადიაზე მოხდა საარჩევნო სისტემის სრულყოფა, გაუქმდა ქონების კონფისკაცია, გაძლიერდა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ინსტიტუტი. ზემოაღნიშნული პროგრესული რეფორმების დასტურად შეიძლება დასახელდეს ის ფაქტი, რომ უშიშროების მინისტრი მოსმენის ერთ გამოვლენილ ფაქტთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ გათავისუფლდა თანამდებობიდან. საზოგადოებამ კარგად იცის, თუ როგორი პრაქტიკა დამკვიდრდა მოსმენებთან მიმართებით სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩატარებული „დემოკრატიული“ რეფორმების შედეგად. საგულისხმოა, რომ ვარდების რევოლუციის შემდგომ პერიოდში ჩატარებული ე.წ. დემოკრატიული რეფორმების შედეგად სასჯელაღსრულების დაწესებულებებში აღდგა საპოლიციო საქმიანობის, მათ შორის, „აგენტურული“ მუშაობის ბოლშევიკური მეთოდები, რამაც უფრო სასტიკი და აგრესიული ხასიათი მიიღო.

ქონების გადანაწილების მეორე ეტაპი საქართველოში და-

ვამოწმოთ და ვმართოთ ქართული მიწა!

2004 წელს საქართველოს ხელისუფლებაში მოსულმა მთავრობამ („ნაციონალურ“ მთავრობას ვგულისხმობ) ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, უსაფუძვლოდ, გააუქმა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და მისი ძირითადი ფუნქციები გადაანაწილა იუსტიციის, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებს შორის.

ფუნქციების ასეთ გადანაწილებას (გახლეჩას) შედეგი არ მოჰყოლია – მიწის აღრიცხვა და მიწის ბალანსის შედგენა დღემდე არ ხორციელდება. დღეს ვერავინ გეტყვით, თუ რამდენი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული გააჩნია ქვეყანას, მათ შორის, რამდენია კერძო, მუნიციპალურ თუ სახელმწიფო საკუთრებაში. რაც მთავარია, არ ვიცით მიწის ფართობები დანიშნულებისა და კატეგორიების მიხედვით.

2005 წლამდე ქვეყანაში ყოველწლიურად ხდებოდა მიწების აღრიცხვა მიწის დანიშნულებისა და კატეგორიების, რაიონების, მხარეების, მიწის მესაკუთრეთა და მოსარგებლეთა მიხედვით. ამ მიზნით, ყოველი წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაიონის გამგეობა ამტკიცებდა მიწის ბალანსს, რომელიც შემდეგ გადაეგზავნებოდა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტს. მიწის ბალანსი განიხილებოდა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად და მტკიცდებოდა მთავრობის დადგენილებით, რომელშიც მოცემული იყო მიწის რაციონალურად მართვის რეკომენდაციები.

დიახ, საქართველოს ძირითადი ნივთობრივი სიმდიდრის ყოველწლიურ ბალანსში მიწა აღირიცხებოდა დანიშნულებისა და კატეგორიების, აგრეთვე საკუთრებისა და სარგებლობის ფორმების მიხედვით. მასში აისახებოდა წლის განმავლობაში მიწის კატეგორიებში, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში და საკუთრება-სარგებლობაში მომხდარი რაოდენობრივ-ხარისხობრივი ცვლილებები.

მიწის ყოველწლიური ბალანსის საშუალებით სახელმწიფო აკონტროლებდა მიწის ფონდში მომხდარ ნებისმიერ ცვლილებას, მათ შორის, ინტენსიური და არაინტენსიური სავარგულების მატებაკლების დინამიკას, ქალაქმშენებლობის, გზების და სხვა საჭიროებისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ბრუნვიდან ამოღებას, სამაგიერო მიწის ჩანაცვლებას და ა.შ.

დღეს ძნელად წარმოსადგენია სხვა რომელიმე ქვეყანა, სადაც მიწის ყოველწლიური ბალანსი, ან მსგავსი რამ არ კეთდებოდეს, მთავრობას მხოლოდ პრივატიზებული მიწის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები აინტერესებდეს და არ აანალიზებდეს, არ აკონტროლებდეს მიწის რესურსების მოძრაობას (დინამიკას), არ იცოდეს, თუ როგორ იცვლება ქვეყანაში მიწის კატეგორიები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ერთი კატეგორიიდან მეორეში გადასვლა (რაც აქტუალური გახდა სავარგულის თითოეულ სახეობაზე გადასახადის მნიშვნელოვანი განსხვავების გამო) არ ახორციელებდეს ქმედით ღონისძიებებს მიწის რესურსების რაციონალური მართვის მიზნით.

მიწის ბალანსის დაზუსტება უნდა ხდებოდეს ყოველწლიურად, რადგან შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო მიწა გადავიდეს არასასოფლო-სამეურნეო მიწის კატეგორიაში, სათიბი – სახნავში, საძოვარი – სათიბში, მრავალწლიანი ნარგავი – სახნავში და პირიქით. სახელმწიფო მიწები შეიძლება გახდეს კერძო ან მუნიციპალური საკუთრება. თითოეულ რაიონში ჩატარებული მიწის აღრიცხვის საფუძველზე ხდებოდა საქართველოს მიწის ყოველწლიური ბალანსის შედგენა.

სამწუხაროდ, სამთავრობო სტრუქტურების ზოგიერთი ხელმძღვანელი მიწის ბალანსს ვერ ასხვავებს მიწის კადასტრისგან და აცხადებს, რა საჭიროა მიწის აღრიცხვა, როცა გვაქვს და ვაკეთებთ მიწის კადასტრს. მიწის კადასტრი არის რეგისტრაციის მომენტისათვის მიწის ფართობის ერთჯერადი დადგენა კარტოგრაფიული და იურიდიული მდგომარეობით.

საინტერესოა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რომელსაც ევალება მიწის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, როგორ ადგენს ეროვნული ეკონომიკის განვითარების სამოქმედო გეგმას, როდესაც არ გააჩნია მიწის განვითარების ხედვა, სტრატეგია, აღრიცხვის მონაცემები და სახელმწიფო პროგრამა. ასევე, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ როგორ შეიმუშავა: „სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ.“, როდესაც არ იცის და არა აქვს დაზუსტებული, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაოდენობრივ-ხარისხობრივი მონაცემები, მათი დინამიკა კულტურებისა და საკუთრების მიხედვით.

როგორც ცნობილია, კონტროლს მიწის გამოყენებაზე უნდა ახორციელებდეს სახელმწიფო. მიწის ფონდის კონტროლი და მართვა მხოლოდ სახელმწიფოს განსახორციელებელია და ამისთვის შექმნილი სახელმწიფო სტრუქტურა ქვეყნის რაციონალური, ეკონომიკური, სამართლებრივი და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარების გარანტი უნდა იყოს.

არსებულმა რეალობამ, მიწის ფონდის უკონტროლობამ, სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანა – მოხდა მიწის პოლიტიკის განხორციელების სტრატეგიისა და პასუხისმგებლობის პარალიზება. მიწასთან დაკავშირებული საკითხები გადანაწილდა (გაიხლიჩა) სხვადასხვა დარგობრივ სამინისტროებზე, რომლებსაც ხშირად საკუთარი პრიორიტეტები აქვთ და ნაკლებად არიან დაინტერესებული საერთო პრობლემური საკითხით. დარგობრივ სამინისტროებს შორის ვერ ხორციელდება კოორდინაცია და თანამშრომლობა მიწის რესურსების ეფექტურად და რაციონალურად გამოყენებისთვის, რაც იწვევს მიწასთან დაკავშირებულ საკითხებში საქმიანობის დუბლირებას (შტატების ზრდას), მონაცემთა უზუსტობას, ინფორმაციის აღრევას და, შესაბამისად, მცდარი გადაწყვეტილებების მიღებას.

იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი საქმიანობა აუცილებლად უნდა განხორციელდეს, პოლიტიკური განსჯის საგანი არ უნდა იყოს ის, თუ რომელ სამინისტროს ან ორგანიზაციას შეუძლია უკეთესად შეასრულოს მმართველის ფუნქცია – აუცილებელია შეიქმნას მიწის ადმინისტრირების მაკოორდინირებელი ორგანო (სახელს მნიშვნელობა არა აქვს, იქნება სააგენტო თუ სხვა), რომლის ამოცანა იქნება მიწის ადმინისტრირება – სახელმწიფო მმართველობა, სახელმწიფო ზედამხედველობა, მიწის გამოყენების კოორდინაცია, მიწის რესურსების მდგომარეობის შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა, ცვლილებების ყოველწლიური ანგარიშის მომზადება, ანუ მიწის ადმინისტრირების ორგანო უნდა ფლობდეს ძლიერ პოზიციას მთავრობაში – ერთიანი რესურსის ინფორმაციასა და ძალაუფლებას შორის ურთიერთკავშირის აუცილებლობის გამო.

მიწის ადმინისტრირების ხსენებულ მაკოორდინირებელ ორგანოს დაევალება არა მარტო დუბლირებული სისტემის აღმოფხვრა, ორმაგი სამუშაოსა და დამატებითი ხარჯების თავიდან აცილება, არამედ, მან უნდა შეძლოს ნებისმიერ საკადასტრო მონაცემთა პოტენციური სარგებლის რეალიზება. ამ შემთხვევაში სიტყვა „პოტენციური“ ჩვენგან ხაზგასმული მნიშვნელობითაა, ვინაიდან საკადასტრო მონაცემთა ბაზის 25 პროცენტია რეგისტრირებული და, მიუხედავად „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონში მრავალი ცვლილებებისა (ამჟამადაც აპირებენ, მაგრამ არასწორი მიმართულებით), ეს პროცესი წლობით გაგრძელდება, გააღრმავებს უნდობლობას ხალხსა და მთავრობას შორის და დიდ დაძაბულობას გამოიწვევს. გამოსავალი, პირველ რიგში, მოსახლეობის დაურეგისტრირებული მიწის ნაკვეთების სისტემურ (პროგრამულ) რეგისტრაციაშია.

მთავრობის კანცელარიაში სხვადასხვა უწყებების მიერ წარმოდგენილი პროექტები მიწის მართვისა და რეგისტრაციის საკითხებზე, რბილად რომ ვთქვათ, არ შეესაბამება დღევანდელ მოთხოვნებს. არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს მიწის რეგისტრაციის შესახებ და მიწის საკითხებზე არსებულ სხვა კანონებში რაიმე ცვლილებების სასწრაფოდ შეტანა, სანამ არ მივიღებთ მიწის კოდექსს. არსებობს ტყის კოდექსი (ახლა ღებულობენ ტყის ახალ კოდექსს), არსებობს წყლის კოდექსი, წიაღის კოდექსი, არ არსებობს მხოლოდ მიწის კოდექსი, რაც დაუშვებელია (ადრე არსებობდა საბჭოთა პერიოდის მიწის კოდექსი).

გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი ეკონომიკური ეფექტის მიღება შეუძლებელი იქნება მიწის მართვის სახელმწიფო სტრუქტურის შექმნის, მიწაზე მონიტორინგისა და მიწის კოდექსის მიღების გარეშე. ყოველივე ზემოაღნიშნულზე იმიტომ გავაკეთეთ აქცენტი, რომ ქვეყნის უპირველესი ეროვნული სიმდიდრის – მიწის დაცვა და მისი რაოდენობრივ-ხარისხობრივი აღრიცხვის მოწესრიგება მთავრობის უპირველესი მოვალეობაა.

პაატა კოლუაშვილი,
საქართველოს ს/მ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი;

ანზორ მესხიშვილი,
ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი;

ჯუმბერ ფანჩულიძე,
ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი.

იწყო ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ. ამჯერად უკვე რეფორმების ნამდვილი არსის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორი რევოლუციის შედეგად მოსული პოლიტიკური ძალების და მათი დასავლელი „პატრონების“ ინტერესები გახდა და მან გამოხატულება ჰპოვა ძალაუფლების უზურპაციაში, ქონების ხელახლა თვითნებურად და უკონტროლოდ გადანაწილებაში, ხელისუფლების საქმიანობაზე კონტროლის მექანიზმების მოშლაში, საზოგადოებაში შიშისა და დაუცველობის განცდის დანერგვაში. სააკაშვილის ხელისუფლებამ რეფორმები საკონსტიტუციო ცვლილებებით დაიწყო და უმოკლეს პერიოდში მთელი სამართლებრივი სისტემა მოიცვა. რეფორმის ეგიდით გატარებულმა სამართლებრივმა ინტერვენციამ მთლიანად მოშალა წინა პერიოდში მიღწეული პოზიტიური შედეგები. ქვეყანამ მიიღო ყველაფრის უფლების მქონე თვითნება, უკონტროლო და უპასუხისმგებლო ხელისუფლება, მეორე მხრივ კი სრულიად უუფლებო და დაუცველი მოქალაქე და საზოგადოება. ხელისუფლების უკონტროლობისა და თვითნებობის დაკანონებას საზოგადოების დამთრგუნველ პოლიტიკას ემსახურებოდა საკონსტიტუციო რეფორმა, რომლის შედეგადაც უხეშად დაირღვა ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, პრეზიდენტმა მიიღო განუსაზღვრელი უფლებამოსილება, ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების მართვის უპრეცედენტო ბერკეტები და საშუალებები. 2004 წლის თებერვალს პროკურატურა გამოყვანეს სასამართლო ხელისუფლების სისტემიდან და იგი საკანონმდებლო მანიპულაციებით, რომელიც ასევე სამართლებრივი რეფორმების ეგიდით მიმდინარეობდა, გახდა ყოვლისშემძლე და ყველაფერზე (არამარტო საერთო ზედამხედველობის ფუნქცია) ზედამხედველობის ორგანო აღმასრულებელი ხელისუფლების ხელში. უფრო მეტიც, პროკურატურას მიენიჭა საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, რითაც არსებითად დაირღვა ხელისუფლების გადანაწილების პრინციპი, ფაქტობრივად, მოხდა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების შერწყმა, რაც არ მომხდარა ბოლშევიკური მმართველობის XX საუკუნის 37-იან წლებშიც კი. პროკურატურა, რომელიც გამოყვანილი იყო სასამართლო ხელისუფლების სისტემიდან, ემორჩილებოდა მხოლოდ პრეზიდენტს და იყო მისი ნების გამტარებელი ორგანო. ქვეყნის სამართლებრივი სისტემა ე.წ. დემოკრატ-რეფორმატორმა პოლიტიკოსებმა მთლიანად მოარგეს ხელისუფლების ინტერესებს და განახორციელეს ძალაუფლების სრული უზურპაცია. ამან გამოიწვია კოლიზია კანონიერებასა და სამართლიანობას შორის. ქვეყანაში დამკვიდრდა უსამართლო კანონიერება. ცნობილია, რომ კანონები იწერებოდა ჯერ მთავარი პროკურორის, მერე კი, როცა მთავარი პროკურორი გახდა იუსტიციის მინისტრი – მინისტრის კაბინეტში, პარლამენტი მას ანიჭებდა მხოლოდ ფორმალურ ატრიბუტიკას. ამდენად, ფაქტობრივად, კანონებს იღებდა აღმასრულებელი ხელისუფლება და, ბუნებრივია, ეს კანონები ემსახურებოდა მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების ინტერესებს, ხოლო მოქალაქეთა ინტერესებს კი ასეთ კანონებში მხოლოდ ილუზიური დატვირთვა ჰქონდა. ისიც ცნობილია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები, ფაქტობრივად, ყალიბდებოდა პროკურატურაში ბრალის სახით და სასამართლო საქმეს იხილავდა ფორმალურად. ფაქტობრივად, პროკურატურის ნებას სასამართლო ანიჭებდა კანონის ძალას განაჩენის სახით. აღნიშნულს ადასტურებს წლეების მანძილზე გამამართლებელი, ან პროკურატურის პოზიციისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების რეალურად არარსებობის ფაქტი. ქვემოთ კონკრეტული მაგალითების საფუძველზე შევეცდებით წარმოვაჩინოთ, თუ როგორ შეძლო ლიბერალ-დემოკრატმა პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა და მისმა გუნდმა დაედასტურებინა ვითომდა კლასობრივი მტრის მარქსის დებულების უტყუარობა და სისწორე იმის შესახებ, რომ **„სამართალი არის პოლიტიკის კონცენტრირებული გამოხატულება“.**

ზემოთ აღინიშნა, რომ ადამიანთა გარკვეული კატეგორია თავის ქმედებებში არასოდეს ხელმძღვანელობდა რწმენითა და იდეებით, მაგრამ ისინი სწორედ ამ თვისებების გამო მოდური იდეების მორგებას საკუთარი კარიერისტული მიზნებისთვის ყოველთვის ადვილად ახერხებდნენ. საუბედუროდ, საქართველოში ასეთ მოვლენას არაერთგზის ჰქონია ადგილი. ისტორიის მანძილზე არ ყოფილა შემთხვევა მმართველ, ან მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალაუფლების მქონე პოლიტიკურ ძალას ან პიროვნებას იურიდიული პასუხი ეგოს ამ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისთვის, რაც ობიექტურად ხელს უწყობს ასეთი პრაქტიკის რეციდივს და საბოლოოდ უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის განვითარების პერსპექტივაზე. ძალაუფლების გადანაწილებისა და ხელისუფლების დემოკრატიულ საწყისებზე მოწყობის პოლიტიკურ-სამართლებრივი იდეის ფუძემდებელი, დიდი ფრანგი ფილოსოფოსი და მოაზროვნე შარლ ლუი მონტესკიეს მიხედვით ფილოსოფიური თვალსაზრისით არსებობს ორი ტიპის ხელისუფლება: **ხელისუფლება, როგორც სიკეთის წყარო და ხელისუფლება, როგორც ბოროტების წყარო. ხელისუფლება, რომელიც თავის საძმიანოებაში ხელმძღვანელობს სამართლიანობის იდეით და მორალურ-ზნეობრივი კრიტერიუმებით, არის სიკეთის წყაროს მატარებელი, ხოლო ხელისუფლება, რომელიც თვითნებობს და ხელმძღვანელობს ძალმომრეობისა და დაშინების მეთოდებით – არის ბოროტების წყარო. საზოგადოებას უნდა შესწევდეს ძალა და უნარი, განასხვაოს ეს ორი ტიპის ხელისუფლება ერთმანეთისაგან, რათა გააჩნდეს რეალური მოვლენის შესატყვისი ობიექტური რეაქცია.**

ჯემალ შელია,
ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, ადვოკატი
(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

◎ რეალობა კი ასეთია

„ფრონტერამ“ ამჯერადაც მოგვატყუა?!

ვიდრე იმის თაობაზე ვიტყოდე, ამჯერად ნავთობკომპანია „ფრონტერამ“ კონკრეტულად რა მოგვატყუა, მინდა, მკითხველს ვაუწყო, რომ ბოლო პერიოდში, ლონდონის საფონდო ბირჟის მონაცემებით, ამ კომპანიის აქციების ფასი მნიშვნელოვნად დაეცა. „ფრონტერას“ ამ წარუმატებლობას იმას უკავშირებენ, რომ კომპანიის უპასუხისმგებლო, დაუსაბუთებელ განცხადებასთან დაკავშირებით საქართველოში, როგორც სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლების, ისე ექსპერტებისა და სპეციალისტების მხრიდან, საკმაოდ ნეგატიური შეფასებები გაკეთდა. ამან, რა თქმა უნდა, გავლენა იქონია „ფრონტერას“ რეიტინგზე, რაც საფონდო ბირჟაზე მისი აქციების გაუფასურებით აისახა.

მაინც რა ისეთი განცხადება გააკეთა „ფრონტერამ“, რომ საქართველოში ასერიგად ემცხეთათ? თქვენ წარმოიდგინეთ, თურმე, სამცხეთებელი კი არა, გულის სახარებელი ამბავი გვაცნობა და ჩვენ კი აღფრთოვანების ნაცვლად ერთი ვიშვიში ავტეხეთ. ლაპარაკია ბუნებრივი აირის არნახულად ზღაპრულ მარაგზე, რომელიც, თურმე, კახეთის მიწაშია ჩადებული, ჩვენ კი ამის პატრონები აზერბაიჯანის გაზზე ვართ ჩამოკიდებული და რომ არ გვყოფნის, დამატებითი ულუფის მოსაპოვებად იქით რუსულ „გაზპრომს“ ვეხვეწებით. თუ არ გჯერათ აგერ არის ამერიკული ნავთობკომპანია „ფრონტერა“ და ჰკითხეთ. **მის მიერ გაკეთებულ განცხადებას თუ დავეყრდნობით, საქართველოს ბუნებრივი აირის სამჯერ მეტი მარაგი აქვს, ვიდრე აზერბაიჯანს. ამ მაჩვენებლით, თურმე, ჩვენ ვუსწრებთ გაზის მომპოვებელ ისეთ აღიარებულ ქვეყნებს, როგორებიც არიან ქუვეითი, ლიბია, ყაზახეთი, უბზეკეთი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, ჩინეთი, ინდონეზია და სხვები.**

ავშენებულვართ და ეგ არისო, იფიქრებთ თქვენ და კონკრეტული ციფრებით დაინტერესდებით. აგერ არის ეს კონკრეტული ციფრებიც, რომელიც „ფრონტერამ“ გულდასმითი დაანგარიშების შემდეგ საჯაროდ გაახმაურა. მისი „მტკიცებით“, საქართველოში ბუნებრივი აირის შესაძლო მარაგი 5,3 ტრილიონ კუბურ მეტრს შეადგენს. მწარე ხევისა და ტარაბინის გაზის კომპლექსებზე, ამბობენ ისინი, 365 მილიარდი კუბმეტრის პერსპექტიული ბუნებრივი გაზის რესურსებია, მათ შორის 266 მილიარდი კუბმეტრი – ამოსაღები პერსპექტიული რესურსი.

ამდენი კაცო?! თუ ასეთი ზღაპრული რესურსები გაგვაჩნია, იტყვით თქვენ, ეს ჩვენი ენერგეტიკის ახალგაზრდა მინისტრი ალტერნატიული გაზის მოცულობის საძებნელად რატომ დარბის ხან „გაზპრომის“ წარმომადგენლებთან მოსალაპარაკებლად და ხან კიდევ მეზობელ ირანში? **თუმცა, ამასთან დაკავშირებით ცნობილია კახა კალაძის პოზიცია, რომელმაც „ფრონტერას“ აღმოჩენა უტოპიად შეაფასა და ის სახელმწიფოს წინაშე აღებული ანგარიშვალდებულების შეუსრულებლობაში დაადანაშაულა.** თავის მხრივ განმარტება გააკეთა ნავთობისა და გაზის კორპორაციამაც, რომელმაც განაცხადა, **რომ საქართველოში თავისუფალი გაზის დადასტურებული მარაგი შეფასებულია რუსთავის, სამგორის, ნინოწმინდის, მწარე ხევის საბადოებზე და მათი ჯამური რაოდენობა შეადგენს 1,874 მილიარდ კუბურ მეტრს. გარდა ამისა, ნავთობში გახსნილი გაზის მარაგიც დათვლილია და ის შეადგენს 75 მილიონ კუბმეტრს, ანუ ჯამურად თავისუფალი გაზის და ნავთობში გახსნილი გაზის დადასტურებული მარაგები 1922 მილიარდი კუბური მეტრია, რაც „ფრონტერას“ გათვლებს 2 ათასჯერ ჩამორჩება(!).**

სხვაობა გამიგია, მაგრამ ამხელა? თუმცა, „ფრონტერასგან“ გასაკვირი არაფერია. მან შარშანწინაც გაგვაოცა „აღმოჩენით“, როცა საზეიმოდ განაცხადა იორმუღანლოში 42 მილიარდი კუბმეტრი გაზი აღმოვაჩინეთო და ისიც დაამატა, რომ ამ რაოდენობით საქართველო მომავალში ენერგოდამოუკიდებლობისკენ მნიშვნელოვან ნაბიჯს გადადგამსო. ისე დაუმშვენდა ცხვირი „ფრონტერას“ წარმომადგენელ სტივ ნიკადროსს (განაცხადი სწორედ მან გააკეთა), როგორც ეს სიმართლე გამოდგა.

ამან მე გამახსენა შევარდნაძის მმართველობის პერიოდი საქართველოში, როცა აღმოჩენების სურვილით შეპყრობილი არა ერთი და ორი უცხო ნავთობკომპანია მოადგა ქვეყანას ამერიკიდან, ინგლისიდან, ავსტრალიიდან თუ სხვა ქვეყნებიდან. ყველა იმათგანი საქართველოს ამა თუ იმ მხარეში, მათ შორის შავი ზღვის შელფშიც კი, ეწეოდა ნავთობის მარაგის დაზვერვას და აღმოჩენილი ზღაპრული მარაგების კვალობაზე ქართველ ხალხს ბედნიერ ცხოვრებას უწინასწარმეტყველებდა. მახსოვს მაშინ დედოფლისწყაროში, სადაც ახალი ჭაბურღილის გახსნის საზეიმო ცერემონია გაიმართა, მთავრობის წევრებთან ერთად ჟურნალისტებიც მიგვიწვიეს. ახლაც თვაწლინ მიდგას ედუარდ შევარდნაძის გაბრწყინებული სახე, რომელმაც მღვრიე ნავთობით გალიცლიცებული ჭიქა ეშხით დააჭაშნიკა და ქვეყანას აღმშენებლობის ახალი ეტაპის დადგომა მიულოცა.

ამის თაობაზე მაშინდელმა პრესამ, მათ შორის „საქართველოს რესპუბლიკამ“ არაერთი იმედის მომცემი წერილი თუ სტატია გამოაქვეყნა, რომლებიც ისტორიას შემორჩა, თავად ზღაპარი კი, რომ საქართველო უმდიდრესი ნავთობის საბადოების პატრონია, ნელ-ნელა გაფერმკრთალდა და საბლოოდ გაქრა. თუმცა, ამ ისტორიული ნეტარების გამეორების კიდევ ერთი საცდელი ვარიანტი შემოგვაპარა ჩვენმა ძველმა ნაცნობმა ნავთობკომპანია „ფრონტერამ“, მაგრამ როგორც მაშინ, ამჯერადაც პირშავად გამოვიდა, რაც როგორც უკვე ვთქვით, ნეგატიურად აისახა მის სარეიტინგო შკალაზე.

მაგრამ ეს მოხდა მომდევნო ეტაპზე, როცა „ფრონტერას“ საქმენი საგმირონი საზღვარგარეთის საფონდო ბირჟებზე ყველასთვის ნათელი გახდა. მანამდე კი „ფრონტერას“ მიერ საქართველოში გაზის მარაგის აღმოჩენასთან დაკავშირებით, მისი ერთი აქციის ღირებულება 0,5050 ცენტიდან 0,6400 ცენტამდე, ანუ მთელი 26 პროცენტით გაიზარდა. თუმცა, აქციის ფასებმა აღმავალი ტრენდი ვერ შეინარჩუნა, საქართველოში დატრიალებულ ცრუ აღმოჩენას მოკლე ფეხები აღმოაჩნდა და გაება.

არ მინდა „ფრონტერას“ ამ თვალთმაქცობასა და ჩვენი მთავარი სტრატეგიული პარტნიორის, ამერიკის შეერთებული შტატების კურსს შორის რაიმე მსგავსება დავინახო. მაგრამ იმის თქმა კი მინდა, რომ ამ სტრატეგიული პარტნიორის მიერ, ქართველი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ, ნაცბანდის ქვეყნისათვის დამაქცევარი საქმიანობის მხარდაჭერამ, აშშ-ის პოლიტიკური აქციების ღირებულება საქართველოში საგრძნობლად გააუფასურა.

ოთარ ხუციშვილი

პანკისის ხეობაში საკონტრაქტო სამსახურში გაწვევა დასრულდა

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ პანკისის ხეობაში საკონტრაქტო სამსახურში გაწვევის მსურველთა რეგისტრაცია დაასრულა. პანკისელი ახალგაზრდების ქართულ ჯარში მსახურის სურვილის შესახებ ანგარიში თავდაცვის მინისტრმა გიორგი ფერაძის სახელობის საწყისი-საბრძოლო მომზადების ცენტრის მეთაურისგან, პოლკოვნიკ მამუკა ქავთარაძისგან მოისმინა.

„პანკისელი ახალგაზრდებისთვის სპეციალურად გამოვყავით დღეები და გავახანგრძლივეთ საკონტრაქტო სამსახურში მიღების პერიოდი იმისთვის, რომ შესაძლებლობა მიგვეცა ამ ადამიანებისთვის სურვილის შემთხვევაში ემსახურათ ქართულ ჯარში. ამ წუთის მდგომარეობით 33-მდე განაცხადი გვაქვს მიღებული. ახლა უკვე დავიწყებთ მათთან ერთად მუშაობას, რომ შეიკრიბოს შესაბამისი დოკუმენტაცია და ისინი რაც შეიძლება სწრაფად ჩაებან ამ საქმიანობაში. მადლობა მინდა, ვუთხრა პოლკოვნიკ ქავთარაძეს და მის ჯგუფს, რომლებმაც მთელი ორი კვირა გაატარეს პანკისში, რომ ინფორმაცია მაქსიმალურად ხელმისაწვდომი ყოფილიყო ყველასთვის. ძალიან ბევრ ადამიანს ესაუბრნენ და ამას, როგორც წესი, გამრავლების ეფექტი აქვს ხოლმე. დარწმუნებული ვარ, დღეს, პანკისის ხეობაში გაცილებით მეტს აქვს ინფორმაცია ქართული ჯარის შესახებ. იმედი მაქვს, შემდეგი გაწვევისთვის უფრო უკეთეს შედეგს მივიღებთ“, – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა თინათინ ხიდაშელმა.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ მიცემული პირობის შესაბამისად, ორი კვირის განმავლობაში, სოფელ დუისის საზოგადოებრივ ცენტრში, გიორგი ფერაძის სახელობის საწყისი-საბრძოლო მომზადების ცენტრის წარმომადგენლები პანკისელ ახალგაზრდებს ადგილზე უწევდნენ კონსულტაციას. საბუთების მიღების შემდეგ მსურველებს ადგილზევე შეეძლოთ ფსიქოლოგიური შემოწმების გავლა და ფიზიკური ტესტის ჩაბარება.

შერჩევის პროცედურების წარმატებით დასრულების შემდეგ უკვე დარეგისტრირებული ახალგაზრდები საწყისი საბრძოლო მომზადების კურსზე ჩაირიცხებიან და 10 კვირის განმავლობაში საბაზისო სამხედრო უნარ-ჩვევებს დაეუფლებიან. საწყისი საბრძოლო მომზადების კურსის დასრულების შემდეგ კი, საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა დანაყოფებში გადანაწილდებიან.

თავდაცვის მინისტრმა ხეობაში ვიზიტისს შემდეგ პანკისელებისთვის მიცემული კიდევ ერთი პირობა შეასრულა და „ცოდნის კვირეულის“ ფარგლებში ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში „ღია კარის“ დღეზე ახმეტის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლა.

„დავიწყეთ სპეციალური პროგრამა პანკისის ხეობის უფრო მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად. ერთ-ერთი არის თავდაცვის აკადემიის მიმართულება, სადაც ღია კარის დღე გვქონდა. მეთერთმეტე-მეთორმეტე კლასის მოსწავლეები გვყავდა ჩამოყვანილი იმისთვის, რომ გაგვეცნო სისტემა სრულად და ინფრასტრუქტურა თუ როგორ მუშაობს აკადემია, რა შესაძლებლობები არსებობს საქართველოს მოქალაქეებისთვის და რომ მისი კარი ყველასთვის ღიაა“, – განაცხადა თინათინ ხიდაშელმა.

სტუმრებს აკადემიის ისტორია, სასწავლო პროგრამები და მიღების პირობები იუნკერმა გიორგი ფერაძემ პრეზენტაციის ფორმატში გააცნო.

მეშახტეთა საგაფიცვო კომიტეტის საგანგებო განცხადება

გუშინ ტყიბულის გამგეობასთან მეშახტეების და მათი მხარდამჭერების საპროტესტო აქცია გაიმართა დევიზით „თავისუფლება! თანასწორობა! სოლიდარობა!“, სადაც საგაფიცვო კომიტეტმა შეკრებილებს მეშახტეთა საგანგებო განცხადება გააცნო. განცხადებაში ნათქვამია, რომ კომპანია „ჯი აი ჯი“ გაფიცულ მეშახტეებსა და მათ მხარდამჭერებზე ზეწოლას ახდენს.

მეშახტეები ქალაქის გამგებელთან შეხვედრას ითხოვენ და ამბობენ, რომ ტყიბულის გამგეობამ შახტის კონსერვაცია არ უნდა დაუშვას. გაფიცულები ასევე მოუწოდებენ ინდუსტრიულ ქალაქებს, მკვეთრად გამოხატონ საკუთარი პოზიცია მეშახტეთა პროტესტთან დაკავშირებით.

„გაძლიერდა ზეწოლა როგორც მეშახტეებზე, ისე ქალაქის მოსახლეობის იმ ნაწილზე, რომელიც აქტიურად უჭრს მხარს გაფიცულებს. მივმართავთ ჭიათურას, ზესტაფონს, ქსანს, რუსთავს, სხვა ინდუსტრიულ ქალაქებს და მთელ საქართველოს, ახლა, როგორც არასდროს, საჭიროა მეშახტეების გვერდით დგომა. თუ მთავრობას არ უნდა მიიღოს სოციალური აფეთქება, გადადგან რეალური და ქმედითი ნაბიჯები, რომელიც ორიენტირებული იქნება მეშახტეების, მშრომელი ხალხის სამართლიან მოთხოვნებზე და არა ბიზნესის ინტერესებზე“, – ნათქვამია განცხადებაში.

აქციის დასრულების შემდეგ, ტყიბულში მსვლელობა მოეწყო.

◎ არის ასეთი კატეგორიული მოსაზრებაც!

შეკონიწებულ საარჩევნო კოალიციას ქართველი ხალხი ხმას აღარ მისცემს!

ალბათ, ყველას გვახსოვს, რომ ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლისთანავე განაცხადა, რომ პოლიტიკაში დარჩებოდა 2 წელიწადს და რომ მისი მთავარი მიზანია სააკაშვილის რეჟიმის დამარცხება და საქართველოში დემოკრატიული, სამართლიანი საზოგადოების მშენებლობის დაწყება, რასაც იგი მომავალში სამოქალაქო სექტორიდან გააკეთებდა. ივანიშვილმა სიტყვა შეასრულა, – დაამარცხა საკაშვილის მოძალადე რეჟიმი, შეუდგა სახელმწიფოს დემოკრატიული ინსტიტუტების გათავისუფლების პროცესს და 2 წლის თავზე პოლიტიკიდან წავიდა, ანუ გადადგა ოფიციალური სახელმწიფო თანამდებობიდან – პრემიერ-მინისტრობიდან და შექმნა არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“. პოლიტიკიდან წასვლისას ივანიშვილმა ისიც თქვა, რომ იგი პასუხისმგებლობას არ მოიხსნის მის მიერ ხელისუფლებაში „მოყვანილი და დატოვებული“ პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ მმართველობის შედეგებზე და როგორც ამ პოლიტიკური ძალის დამფუძნებელი, სამოქალაქო პოზიციებიდან მუდამ ჩაერევა მის ფუნქციონირებაში, – კონსულტაციების, რეკომენდაციების, რჩევების მიცემის სახით! და აი, ახლა, მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრობიდან გადადგა ირაკლი ღარიბაშვილი, რომელიც გიორგი კვირიკაშვილმა შეცვალა, ბიძინა ივანიშვილს მოუწევს, მიიღოს აქტიური მონაწილეობა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. საქმე ის გახლავთ, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ არსებული რეიტინგი სავალალო მდგომარეობაშია. დიახ, ხაზგასმით ვამბობ, რომ – კოალიციის რეიტინგია სავალალო მდგომარეობაში, – ხოლო, მასში შემავალი პოლიტიკური პარტიების რეიტინგები კი, უფრო უარესში („მკვდარი, მკვდარს აეკიდაო“!). ამიტომ, თუ ბიძინა ივანიშვილი დაინტერესებულია, რომ მის მიერ დაარსებული პოლიტიკური ძალა ხელისუფლებაში კვლავ დარჩეს, ანუ გაიმარჯვოს ამა წლის შემოდგომაზე საპარლამენტო არჩევნებში, მაშინ იგი უშუალოდ უნდა ჩაერთოს საარჩევნო პროცესში.

მიმაჩნია, რომ ახალი პრემიერის მიმართ პოზიტიური განწყობის მიუხედავად, საქართველოს ელექტორატისათვის გიორგი კვირიკაშვილი 7-8 თვეში, სამწუხაროდ, ვერ გახდება აღიარებული პოლიტიკური ლიდერი, რომლის საარჩევნო სიაში პირველ ნომრად ჩასმა გარანტირებულ გამარჯვებას მოუტანს ივანიშვილის მიერ მხარდაჭერილ პოლიტიკურ ძალას. სხვათა შორის, პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოში“ არც არავინ მეგულება ისეთი პოლიტიკური ფიგურა, რომელიც „გაქაჩავდა პირველ ნომრობას“, ანუ შეძლებდა უპირობო ლიდერობას და გამარჯვების მოტანას საპარლამენტო არჩევნებში. ასე რომ, ბიძინა ივანიშვილს, ჩემი აზრით, სხვა არჩევანი არცა აქვს, გარდა იმისა, რომ თავად ჩაუდგეს სათავეში საარჩევნო პროპორციულ სიას! არა მგონია, რომ ბიძინა ივანიშვილი ისეთი მიამიტი იყოს, რომ საარჩევნო სიის პირველ ნომრად დააყენოს კოალიციაში შემავალი სხვა პოლიტიკური სუბიექტის რომელიმე ლიდერი! ამ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, რომ ივანიშვილი კარგად ხვდება, რა მდგომარეობაში ჩავარდება იგი, თუ ასეთი სახის პოლიტიკურ შეცდომას დაუშვებს! ზევით თქმულიდან გამომდინარე, ლოგიკური და გონიერი გადაწყვეტილება იქნება, რომ ბიძინა ივანიშვილმა შექმნილ არაორდინარულ პოლიტიკურ სიტუაციაში საკუთარ თავზე აიღოს ინიციატივა და, როგორც პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ დამფუძნებელმა დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში! დიახ, თუ გავიხსენებთ იმ ორ მიზეზს, რომლის გამოც ივანიშვილი მოვიდა პოლიტიკაში, – სააკაშვილის რეჟიმის დამარცხება და ქვეყანაში დემოკრატიის დამკვიდრება, – ბიძინა ივანიშვილმა „პირველი მიზეზი“ წარმატებით დაასრულა, ახლა „მეორის ჯერია“. ანუ, ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების გაღრმავებისთვის და გაძლიერებისთვის, ძალიან მნიშვნელოვანი გადადგმული ნაბიჯი იქნება, თუ არსებულ მმართველ კოალიციაში შემავალი პოლიტიკური პარტიები დამოუკიდებლად (ბიძინა ივანიშვილის დახმარების გარეშე!) მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას, მათ თუ სურვილი ექნებათ „დაწყვილდნენ“ და ისე მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა, თუნდაც კოალიციის არაწევრი სხვა იდეოლოგიური თანამოაზრეებიც „დაიმატონ“.

ვფიქრობ, რომ კოალიციის გაზულუქებულ სუბიექტებს, ბიძინა ივანიშვილის და პარტია „ქართული ოცნების“ მხარდაჭერის იმედი არ უნდა ჰქონდეთ და ვნახავთ, ვინ რას წარმოადგენს საქართველოს ამომრჩევლების თვალში! საქართველოში დემოკრატიული პროცესების განვითარების თვალსაზრისით და მდგრადი პოლიტიკური სისტემის ჩამოსაყალიბებლად, ბიძინა ივანიშვილის მხრიდან მიღებული ეს გადაწყვეტილება იქნება უაღრესად პოზიტიური ჩვენი სახელმწიფოსთვის.

დიახ, კოალიცია „ქართულ ოცნებას“ „უბიძინოდ“ საქმე ცუდად აქვს, რაც კოალიციის სუბიექტებმა საკუთარ თავს უნდა დააბრალონ, ხოლო, ბიძინა ივანიშვილმა „პარაზიტი პოლიტიკური პარტიები“ აღარ უნდა შეიყვანოს საქართველოს პარლამენტში, კმარა, რადგანაც დღეს, 2016 წელია და არა 2012(!) ამიტომ, დარწმუნებული ვარ, რომ ბიძინა ივანიშვილმა უარი უნდა თქვას ყბადაღებული კოალიციური საარჩევნო ბლოკის შექმნაზე, რა არგუმენტებიც არ უნდა მოიყვანონ ამის საწინააღმდეგოდ სხვადასხვა ჯურის ოპონენტებმა, რამეთუ, ქართველ ხალხს მობეზრდა ბიძინა ივანიშვილის „ხათრით არჩეული თუ დანიშნული პოლიტიკოსების ხილვა“.

ქართველ ამომრჩეველს სურს (ივანიშვილმა, ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს!), რომ ბიძინა ივანიშვილმა თავად აიღოს პასუხისმგებლობა და ოფიციალურად იტვირთოს ქვეყნის ლიდერობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საარჩევნო სიის ნებისმიერ „კომპრომისულ და ხელოვნურ“ პირველ ნომერს, აგრეთვე, „შეკოწიწებულ საარჩევნო კოალიციას“, – ქართველი ხალხი ხმას აღარ მისცემს!!!

ჯუმბერ კირვალიძე,
პოლიტოლოგი.

◎ ეკონომიკის გამოსაცოცხლებლად

ექსპორტის ვარდნის შეჩერება ჯერ კიდევ შესაძლებელია!

თითქმის წელიწად-ნახევარია ექსპორტის მაჩვენებელი უკან-უკან მიდის. პირველი დიდი შეფერხება 2015 წლის დასაწყისში აღინიშნა. შარშან წლის დასაწყისშივე ამ მიმართულებით 26%-იანი ვარდნა იყო. მთლიანად, 2015 წელს, უცხო ქვეყნის ბაზრებზე 2,204 მილიარდი დოლარის ქართული პროდუქტი გავიდა, რაც 23%-ით ნაკლებია 2014 წელთან შედარებით. ასეთი დაბალი მაჩვენებელი ბოლო წლების განმავლობაში პირველად აღინიშნა. ტენდენცია გაგრძელდა 2016 წლის იანვარშიც.

სპეციალისტები გაუარესებულ მაჩვენებლებს რეგიონში და სამეზობლოში არსებულ ვითარებას აბრალებენ. **„გასათვალისწინებელია ის შოკები, რაც მთელმა რეგიონმა და ჩვენმა მთავარმა სავაჭრო პარტნიორმა ქვეყნებმა გამოიარეს. რამაც უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოს ექსპორტის მოცულობაზე“,** – აცხადებს ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის ანალიტიკოსი **პაატა ბაირახტარი,** რომელიც ერთ დადებით მომენტზეც ამახვილებს ყურადღებას. შარშან ევროკავშირის ქვეყნებთან ექსპორტის მაჩვენებელი ცოტათი გაიზრდა.

„აღსანიშნავია, რომ ექსპორტის კლებადი ტენდენციის მიუხედავად, აბსოლუტურ მაჩვენებლებში, ევროკავშირის ქვეყნებთან შარშან ექსპორტი 3,45%-ით (22,341 მლნ) არის მომატებული 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ეს მეტწილად დაკავშირებულია ევროკავშირთან ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის მოქმედებასთან. ამ მიმართულებით შეინიშნება ქართველი მეწარმეების გააქტიურება, გაიტანონ ქართული პროდუქცია ევროკავშირის ბაზრებზე, რაც ექსპორტის საბოლოო მაჩვენებელზე დადებითად აისახება.

აღსანიშნავია, რომ ექსპორტის მთლიან ჭრილში, უდიდესი ხვედრითი წილი ავტომობილების რეექსპორტზე მოდის, რაც მნიშვნელოვნად შემცირდა, ვინაიდან ძირითად იმპორტიორ ქვეყნებში, აზერბაიჯანსა და სომხეთში, ე.წ. ევრო 4–ის სტანდარტის მიღებამ, პრაქტიკულად, ამ ბაზრების ჩაკეტვა გამოიწვია. ექსპორტის მაჩვენებლებში ზრდა შეინიშნება იმ დარგებში, რასაც ქვეყანა თავად აწარმოებს, ეს კი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქვეყნის საექსპორტო პოტენციალი, ის რითაც ეკონომიკა ძლიერდება, იზრდება.

ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ რეგიონში არსებული ქვეყნების ეროვნული ვალუტები, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვნად გაუფასურდა, მაგალითად, 50%-ით გაუფასურდა აზერბაიჯანული მანათი, თითქმის 66%-ით გაუფასურდა რუსული რუბლი და 20%-ზე მეტით თურქული ლირა. გამომდინარე იქიდან, რომ ეს ქვეყნები საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორები არიან, ამან უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოდან ექსპორტის მოცულობაზე“, – აცხადებს ბაირახტარი.

აფბა-ში მიაჩნიათ, რომ ქვეყნისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში იმპორტის შემცირება მნიშვნელოვანია, თუმცა, ეს უნდა ხდებოდეს როგორც ექსპორტის ზრდის, ასევე ადგილობრივი მომხმარებლებისთვის კონკურენტუნარიანი პროდუქციის შეთავაზების ხარჯზე.

„საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი, ის 2016 წლის იანვრის თვეში 283 მლნ აშშ დოლარია, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 99,2 მილიონი აშშ დოლარით არის შემცირებული, ერთობ უმნიშვნელოა, თუმცა, დადებითი ფაქტორია ეროვნული ვალუტის სტაბილურობის კუთხით“, – აღნიშნავენ აფბა-ში.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი **სოსო არჩვაძე** შენიშნავს, რომ წელს ექსპორტის მიმართულებით ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია იკვეთება. ერთია ის, რომ საქართველოს მთავარ სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში, გაუფასურებული ვალუტების გამო, მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა და შესაბამისად ზოგიერთ პროდუქტზე მოთხოვნა საგრძნობლად შემცირდა.

არის მეორე ოპტიმისტური მაჩვენებელი – რუსეთის შიდა სამომხმარებლო ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთ-ერთი მთავარი მიმწოდებელი იყო თურქეთი. ორ ქვეყანას შორის დაძაბულმა ვითარებამ, რასაც თურქეთის მიმართ სანქციების დაწესება მოჰყვა, ფაქტობრივად, ქართველ მწარმოებლებს რუსეთის ბაზარი გამოუთავისუფლა.

„თუკი ხელისუფლება, ბიზნესთან ერთად, ჭკვიანურად დაგეგმავს ნაბიჯებს, შედეგი იქნება პოზიტიური. ეს ხელს შეუწყობს ეკონომიკის გამოცოცხლებასა და შემოსავლების ზრდას“, – აცხადებს სოსო არჩვაძე.

ბექა დანელია

◎ შეუმდგარი ოკუპირებული „სახელმწიფო“



აფხაზეთი მალე საკუთარი დამოუკიდებლობით ივაჭრებს!

ცნობილი რუსი ექსპერტი ანდრეი ეპიფანცევი თვლის, რომ მალე აფხაზეთს შესაძლოა, საკუთარი „დამოუკიდებლობით“ ვაჭრობის დაწყება მოუწიოს.

მისი აზრით, ახლა აფხაზეთი აშკარად ჩიხში შევიდა და თუ რუსეთი, რომელიც თავადაც არასახარბიელო ეკონომიკურ მდგომარეობაშია, აუცილებელ დიდძალ თანხებს არ გამოუყოფს, სოხუმის ხელისუფლებას მოუწევს, მოსკოვს ან თბილისს მათ შემადგენლობაში ფორმალურად შესვლა შესთავაზოს:

„აფხაზეთში ყველაფერი ნელ-ნელა იქით მიდის, რის შესახებაც უკვე არაერთი წელია, ვსაუბრობდი: სახელმწიფო, რომლის მიზანს აფხაზების ეთნიკური პროექტის რეალიზება წარმოადგენს თვითორგანიზების არქაული — XVIII-XIX საუკუნეების ფორმების საფუძველზე, ძალზე სუსტი სახელმწიფოებრივი და ძალზე ძლიერი კლანური ხელისუფლებით, თანამედროვე პირობებში ვერ ჩამოყალიბდება. იგი შეუმდგარია მთელი რიგი მიზეზების გამო და უპირველესად, ეკონომიკურად“, — ამბობს ეპიფანცევი.

მისივე განმარტებით, პრაქტიკული თვალსაზრისით, ეს უკვე გადაიზარდა ტოტალურ ინფრასტრუქტურულ კოლაფსში, რომლის ნაწილს წარმოადგენს ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა“.

„დამოუკიდებლობის 23 წლის განმავლობაში მის რემონტში არაფერი ჩადებულა, რადგან საკუთარ სახსრებს აფხაზეთი არ გამოიმუშავებს, მოსახლეობა კი თითქმის ტოტალურად არ იხდის მოხმარებული დენის იმ მიზერულ გადასახადსაც კი, რომელიც იქ არის დაწესებული — 40 კაპიკს/კვტ. შესაბამისად, ინფრასტრუქტურაში მრავალმილიარდიანი ინვესტირების გარეშე ვითარების გამოსწორება შეუძლებელია, ასეთი ფულის შოვნა კი — პრინციპშიც კი შეუძლებელი, განსაკუთრებით — გარე ბაზრებზე კრიზისის მომძლავრების პირობებში. თუმცა რომც ეშოვათ, ამას მაინც არ ექნებოდა არანაირი აზრი, რადგან შემდეგ თითქმის შეუძლებელი იქნებოდა თანხების მოპოვება ახლა უკვე ამ ინფრასტრუქტურის შენახვისთვის — ისეთი ეკონომიკა ხომ არ არსებობს, რომელიც ამხელა თანხებს მოიტანდა! შესაბამისად, ეს არის ტოტალური ჩიხი“, — განმარტავს რუსი ექსპერტი.

მისივე თქმით, შექმნილ ვითარებაში აფხაზეთში ისმის კითხვა, „რა გავაკეთოთ?“ და აფხაზურ საზოგადოებას მასზე ერთი პასუხი აქვს — „ეს ფული რუსეთმა უნდა მოგვცეს“.

„აბა რა? ვალებს ყველა ქვეყანას ჩამოაწერენ, ოსებს ყველაფერს უფასოდ უშენებენ, გაზსადენიც კი გაიყვანეს, მოსკოვს კი, თავის მხრივ, სჭირდება ბაზა, რათა ნატო-ს წინააღმდეგობა გაუწიოს, ჰოდა კეთილი ინებოს და გადაიხადოსო!“... ამასთან, რუსეთის არგუმენტები ბიზნეს-კლიმატის გაუმჯობესების, ინვესტორების მიზიდვის, საკუთარი ეკონომიკის მშენებლობის და ამისთვის უცხოელებზე უძრავი ქონების გაყიდვის დაშვების, სახელმწიფოს მომძლავრების, ამ მიზნით საჭირო მუშა კანონების მიღების და (ყველაზე საშიში) კომუნალური გადასახადების გადახდის დაწყების აუცილებლობის თაობაზე აფხაზეთში უკუგდებულია, რადგან ეს არ შეესაბამება სახელმწიფოს იმ ტიპს, რომლის აშენებაც სურთ და აფხაზური ეთნიკური პროექტის პრინციპებს“, — ამბობს ეპიფანცევი.

მისივე პროგნოზით, რუსეთისთვის ეს სულ ცოტა ხანში მორიგ დილემაში გადაიზრდება.

„აუცილებელი გახდება, არა უბრალოდ შეინახო რუსეთის ბიუჯეტის ხარჯზე მცხოვრები პარაზიტი აფხაზური სახელმწიფო, არამედ თავიდან აშენო მისი დანგრეული ინფრასტრუქტურა. ნავთობის მაღალი ფასის პირობებში პასუხი გასაგები იქნებოდა — „რა თქმა უნდა, ავაშენებთ!“, მაგრამ ახლა სიტუაცია სხვაგვარია: ფული არ არის და კიდევ დიდხანს არ იქნება“, — განმარტავს ექსპერტი და მოვლენათა განვითარების ორ ძირითად ვარიანტს ხედავს:

„1. იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთი მცირეა და ათეული მილიარდი ინფრასტრუქტურის ნულიდან შენებისთვის რუსული ბიუჯეტისთვის კრიტიკულად არ გამოიყურება, მოსკოვი სამომავლოდ დაეთანხმება ამ ფულის გამოყოფას, შემოიღებს ახალ პლატონს, გაუზრდის გადასახადებს საკუთარ მოქალაქეებს, გაზრდის ფასებს, კიდევ რამდენიმე წლით გაყინავს პენსიების შეგროვებით ნაწილს თავად რუსეთში — მთავარია, აფხაზებს შეუნარჩუნდეთ შესაძლებლობა, არაფერი აკეთონ და არ იხადონ ელექტროენერგიის გადასახადი; 2) ფულს არ გამოყოფენ და მაშინ აფხაზეთს კიდევ უფრო მეტი დეგრადაცია ელის, პოლიტიკური კრიზისები და სხვა სახალისო მოვლენები, რომლებიც, ადრე თუ გვიან, მიიყვანს რესპუბლიკას აუცილებლობამდე, დაიწყოს ვაჭრობა საკუთარი დამოუკიდებლობით, ანუ შესთავაზოს მოსკოვსა და თბილისს, ფორმალურად შევიდეს ან ერთის, ან მეორეს შემადგენლობაში ყველა ამჟამინდელი პრივილეგიის შენარჩუნებითა და აფხაზების საქმეებში ჩაურევლობისა და კმაყოფის არაჩვეულებრივი პირობებით. დაველოდოთ“, — დასძენს ეპიფანცევი.

დედამიწის ზურგზე

ირანის პრეზიდენტის მომხრეებმა არჩევნებში გაიმარჯვეს!

საბოლოოდ დაანგარიშებული ხმების თანახმად, რუხანიმ და მისმა თანამებრძოლებმა რესპუბლიკის ექსპერტების საბჭოში დაიკავეს 15 ადგილი 16-დან. მათ ასევე მიიღეს ყველა 30 ადგილი, რომელიც თეირანზე იყო მიმაგრებული ქვეყნის პარლამენტში, მაგრამ ორივე ორგანოში უმრავლესობა კვლავ კონსერვატორების მხარესაა.

ჩინეთი წლის მეორე ნახევარში გაუშვებს კოსმოსურ ლაბორატორიასა და ხომალდს 2 კოსმონავტით ბორტზე

ჩინეთის კოსმოსური პროგრამის ოფიციალური წარმომადგენლის სიტყვებით, 2016 წლის მესამე კვარტალში

იგეგმება კოსმოსურ ლაბორატორია „ტიანგუმ-2“-ის და კოსმოსურ ხომალდ „შენჩოუ-11“-ის გაშვებას ბორტზე 2 კოსმონავტით. ამ უკანასკნელს გაუშვებენ მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში და იგი შეუერთდება „ტიანგუმ-2“-ს.

იაპონიის იმპერატორი აკიხიტო გრიპით გახდა ავად

83 წლის მონარქს გაუჩნდა მაღალი ტემპერატურა და ექიმებმა მას გრიპის დიაგნოზი დაუსვეს. რომლის ეპიდემიაც იაპონიაში აღინიშნება. საუბარი ჰოსპიტალიზაციის შესახებ ჯერჯერობით არ მიდის — აკიხიტოს გამოუწერეს დასვენება თავის აგარაკებზე. 2012 წელს იმპერატორმა გადაიტანა მძიმე ოპერაცია გულზე და იძულებული გახდა თავისი მოვალეობანი დროებით შვილისათვის გადაებარებინა.

კონკურენტმა-რესპუბლიკელმა ბრალი დასდო დონალდ ტრამპს მაფიასთან კავშირში

განცხადება, რომელსაც აფეთქებულ ბომბს უტოლებენ, სენატორმა ტედ კრუზმა გააკეთა 2 დღით ადრე სუპერ-სამშაბათამდე — იმ დღემდე, როდესაც პრაიმერიზი 12 შტატში გაიმართება. მან მიუთითა დამოკიდებულებაზე, რომელიც აკავშირებს ტრამპს კომპანია „S A Construction “-თან. ამ ფირმას კონტროლს უწევენ ჯენოვეზისა და განბინოს კლანები, ხოლო კომპანიის მეთაური ტონი სალერნო არის განგსტერი, რომელიც ციხეში ზის.

უკრაინელი რადიკალები კვლავ ბლოკავენ რუსულ ფურგონებს, ერთ-ერთმა საბვირთო მანქანამ გაარღვია ბლოკი

კიევის გადაწყვეტილების მოწინააღმდეგეებმა რუსეთის ფედერაციასთან ტრანზიტის განახლების შესახებ დაბლოკეს სატვირთო მანქანები კონტროპში. უკრაინის ინფრასტრუქტურის მინისტრმა ანდრეი პივოვარსკიმ უარყო ეს ინფორმაცია და განაცხადა, რომ გზებზე მიმდინარეობს მშვიდობიანი აქციები, მძღოლებს კი არ აჩერებენ.

გამოკითხვა: უკრაინელებს არ სჯერათ ქვეყნის შემადგენლობაში ყირიმის დაბრუნებისა

შეკითხვაზე „შეუძლია თუ არა უკრაინას დაიბრუნოს ყირიმი?“ საიტ „112 უკრაინის“ დამთვალიერებლებს შესთავაზეს პასუხის სამი ვარიანტი: „დიახ. რუსეთის ფედერაციაზე მუდმივი პოლიტიკური და ეკონომიკური ზემოქმედების შემთხვევაში“. „არა. რუსეთი არასოდეს წავა ამაზე“, „შესაძლებელია, მაგრამ არა უახლოეს მომავალში“.

ერაყში ბერაქტს 70 ადამიანი ემსხვერპლა

ერაყში აფეთქებას მინიმუმ 70 ადამიანი ემსხვერპლა, დაშავებულთა რაოდენობა კი, 100-ს აღწევს.

ტელეარხ „ალ არაბიას“ ინფორმაციით, აფეთქება ბაღდადის შიიტურ რაიონში მდებარე ბაზრობაზე მოხდა. თავდაპირველად ამოქმედდა ასაფეთქებელი მოწყობილობა, რამდენიმე წუთის შემდეგ კი, თვითმკვლელმა ტერორისტმა, რომელიც ხალხს შორის იდგა, აიფეთქა თავი.

შიიტურ უბანს თავს მას შემდეგ დაესხნენ, რაც ერაყელმა სამართალდამცველებმა ბაღდადის ცენტრში რამდენიმე ტერაქტი აღკვეთეს და „ისლამური სახელმწიფოს“-ათზე მეტი წევრი მოკლეს. ტერაქტზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ტერორისტულმა დაჯგუფება „ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო.

რატომ და ვინ გააუქმა მრავალშვილიანობის სტატუსი და ფულადი დახმარება?

საქართველოში ქორწინების წახალისება აუცილებელია, რადგან ახალი ოჯახები ძალიან ძნელად იქმნება

დემოგრაფები შიშობენ, რომ უახლოეს პერიოდში საქართველოში შობადობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაუარესდება. ექსპერტთა ეს ვარაუდი გამყარებულია იმ მოსაზრებით, რომ 2017-2018 წლებიდან 90-იან წლებში დაბადებული მოსახლეობა ქორწინებისა და რეპროდუქციული პოტენციალის ასაკში შევა, როდესაც საქართველოში შობადობა ძალიან დაბალი იყო.

შევცვლით თუ არა 2050 წლისთვის მოსალოდნელ საფრთხეს ქართველი ერის ნელ-ნელა გაქრობის თაობაზე? რას გვიქადის უახლოესი მომავალი დემოგრაფიული კუთხით? ამის შესახებ გვესაუბრება დემოგრაფიული აღორძინების ფონდის პრეზიდენტი ომარ ჩიბურდანიძე.

— IDFI-ის კვლევის თანახმად, ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა საქართველოში ვერ უზრუნველყოფს სოციალური მხარდაჭერის პირობებს, მრავალშვილიანი ოჯახების მდგომარეობის გაუმჯობესებას, რაც, წესით, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების პრაქტიკის გათვალისწინებით, უნდა განხორციელებულიყო. რამდენად აქტუალურია დღეს სახელმწიფოს მხრიდან ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა?

— IDFI-ის კვლევა მნიშვნელოვანია, ის კარგ ანალიზსა და რეკომენდაციებს შეიცავს ჩვენი ხელისუფლებისთვის. მივესალმებით ამ ორგანიზაციების გააქტიურებას დემოგრაფიულ საკითხებთან დაკავშირებით, რადგან წლების წინათ მე არ მახსოვს რომელიმე ორგანიზაცია, გაეროს მოსახლეობის ფონდის გარდა, რომელიც ღიად საუბრობდა ამ პრობლემურ თემაზე. გამონაკლისი იყო დემოგრაფთა ასოციაცია. თუ საზოგადოების კონსოლიდაცია არ მოხდა ამ პრობლემის ირგვლივ, ისე ვერაფერი გადაწყდება. რაც შეეხება ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკას, თუ გახსოვთ, 2016 წლის დასაწყისში ჩვენი ფონდის სახელით სერიოზული ინიციატივა მქონდა გამოტანილი, რომ დემოგრაფიული პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება უნდა იყოს საოჯახო პოლიტიკა და კონკრეტულად ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა, ფინანსური დახმარება შვილებზე, სხვადასხვა მიმართულებით. საინტერესოა ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომელსაც დღემდე ვერ ამჩნევდნენ სხვა ორგანიზაციები, ანუ შობადობის ზრდის ტენდენცია.

ბოლო სამი წლის მანძილზე შობადობა გაზრდილია საქართველოში, მაგრამ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ იგი გაზრდილია მხოლოდ მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და შემდეგ შვილებზე. ყველაზე მეტად პროცენტული ზრდა შეინიშნება სწორედ მესამე ბავშვის გაჩენისას. რაც შეეხება პირველ შვილებს, აქ მცირედი უმნიშვნელო კლებაა, ანუ იმდენივე ბავშვი იბადება, რამდენიც იბადებოდა და ოდნავ — მცირედიც. ამიტომ საქართველოში უნდა წახალისდეს ქორწინება. ჩვენთან არ იქმნება ახალი ოჯახები, ძალიან ძნელად იქმნება. 2013 წელს ქორწინებათა რაოდენობა 4 ათასი ერთეულით იყო გაზრდილი, ხოლო 2014 წელს კლება შეიმჩნევა,რაც 2015 წელსაც გაგრძელედა. პარალელურად, გაზრდილია განქორწინებათა რაოდენობა. ამიტომაც სახელმწიფომ უნდა აიღოს ახალი სტრატეგია და ახლად შექმნილ ოჯახებზე მზრუნველობის გარდა, უნდა შეიმუშავოს პირველი შვილის სტრატეგია. ეს ნიშნავს, რომ უნდა მომზადდეს სერიოზული პაკეტი ახლად დაქორწინებული ოჯახების მხარდასაჭერად. სწორედ ეს არის ჩვენი ფონდის ახალი წინადადება.

— 2017-18 წლების პროგნოზი არასახარბიელოა, რადგან რეპროდუქციული პოტენციალის ასაკში შევლენ 90-იან წლებში დაბადებული გოგონები. 90-იან წლებში კი საქართველოში შობადობა ძალიან დაბალი იყო.

— 2017 წლიდან იწყება სერიოზული დემოგრაფიული კრიზისი. ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, 80-იან წლებში, ანუ 80 წლის დასაწყისიდან ბოლომდე, საქართველოში დაბადებულია დაახლოებით 445 ათასი გოგონა. მოგეხსენებათ, დემოგრაფიული ხაზი ძირითადად დაბადებული გოგონების რაოდენობას მიჰყვება. 90-იან წლებში კი, ანუ 2000 წლამდე საქართველოში დაიბადა ამის ნახევარი, ანუ 225 ათასი გოგონა. ბუნებრივია, გოგონების განახევრებული რაოდენობა გაანახევრებს შობადობას. 2017 წელი არის ის წელი, როდესაც ეს თაობა უკვე დედობის ასაკში შედის. ამიტომ რამდენი ინიციატივაც არ უნდა დავდოთ შობადობის წახალისებასთან დაკავშირებით, 2017 წელს გარდაუვალია შობადობის კლება. მთელი სამი წლის განმავლობაში ვმუშაობთ ამ პრობლემის გამოსასწორებლად, 2016 წლის ივნისამდე დაამთავრებს ჯანდაცვის კომიტეტი დემოგრაფიული პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობას, რომელიც სახელმწიფო სტრატეგია იქნება და ეს ინიციატივა შედეგს მოგვცემს 2030 წლიდან, ანუ მეორე დემოგრაფიულ თაობაზე. დღეს ჩვენ ვზრუნავთ იმაზე, რომ 2017 წელს დაბადებულ თაობაში გავზარდოთ შობადობა, რაც 2030 წლიდან აისახება, გავზარდოთ ქორწინებათა რაოდენობა, დავაბრუნოთ მიგრანტები. 2030 წლიდან უნდა მოხდეს ამ მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობის ერთგვარი ამოვარდნა, თორემ 2050 წლისთვის დემოგრაფიული კატასტროფა გარდაუვალია. როგორც 2017 წლიდან შობადობის კლება გარდაუვალია და ამ ციფრებს ვეღარავინ შეცვლის, ისე ვერ შევცვლით 2050 წლისთვის მოსალოდნელ საფრთხეს, თუკი ჩვენ დღეს სერიოზულად არ ჩავრთეთ სახელმწიფო მანქანა. პირდაპირ გეტყვით, 2050 წლისთვის 28%-იანი კლებაა მოსალოდნელი, დღეს კი უკვე 14%-იანი კლებაა, რაც გვიწინასწარმეტყველა გაერომ. თანაც, ეს კლება მოდის მთლიანად ქართულ გენოფონდზე. არ ვერჩით არც ერთ გენოფონდს, ყველა ინიციატივა საქართველოში ეთნოსის განურჩევლად ხორციელდება, მაგრამ გაეროს მონაცემებით, მთლიანი 28%-იანი კლება შეეხება მხოლოდ ქართულ გენოფონდს და სწორედ იმ რეგიონებშია კლება, სადაც უდიდეს რაოდენობას შეადგენენ ეთნიკურად ქართველები.

— რამდენად რეალურია ციფრობრივი მონაცემები, რომ დემოგრაფიული სურათის გასაუმჯობესებლად მთელი საქართველოს მასშტაბით ყოველწლიურად 38 მლნ ლარია საჭირო? თუ ამას დაემატება ყოველ მე-3 და შემდგომ ბავშვზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება (მე-3 ბავშვი 800 ლარი, მე-4 ბავში 1000 ლარი, მე-5 და შემდეგი ბავშვი 1500 ლარი) აღნიშნულისათვის დამატებით საჭიროა დაახლოებით 10 მლნ ლარი?

— 38 მილიონი გულისხმობს ექვს კრიზისულ რეგიონში მესამე და შემდეგ ახალშობილზე ფულად დახმარებას — ბარში 150 ლარის, მთაში 200 ლარის ოდენობით. მიმდინარე წლის 1 იანვრიდან ამას დაემატა მთიან რეგიონებში პირველ და მეორე შვილზე დახმარება. რაც შეეხება ძველ ინიციატივას, სერიოზული მატებაა ექვს რეგიონში, თუმცა, იქ ჯერ კიდევ რჩება მინუს ბალანსი. ეს იმას ნიშნავს, რომ ბუნებრივი მატება არ შეინიშნება და სიკვდილიანობა აღემატება შობადობას. წარმოიდგინეთ, შობადობის კუთხით იმდენად სერიოზული კოლაფსი იყო, რომ ორი წლის განმავლობაში ამის ამოვსება შეუძლებელი გახდა. ამიტომ ჩვენი რეკომენდაცია ხელისუფლების მიმართ არის ის, რომ რამდენიმე წელი კიდევ გაგრძელდეს რეგიონალური პოლიტიკა და რეგიონალური კუთხით გაიცეს მესამე და შემდეგ შვილზე ფულადი დახმარება. შემდეგ კი ამ პროგრამამ დაფაროს მთელი საქართველო, რადგან თავკომბალა გახდა თბილისი, ძირითადი რეგიონები მოსახლეობისგან იცლება. აღსანიშნავია, რომ ოჯახების მხარდაჭერის პოლიტიკა არ გულისხმობს მხოლოდ ფინანსურ დახმარებას. მრავალშვილიანი ოჯახების დასახმარებლად პირადად ჩვენს ფონდს მომზადებული აქვს ოთხი მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომელიც წარვუდგინეთ ჯანდაცვის კომიტეტს: **1) საგადასახადო შეღავათები, საშემოსავლო დასაბეგრის გათვალისწინებით; 2) კომუნალურ გადასახადებში შეღავათები მრავალშვილიანი ოჯახებისთვის; 3) საბინაო უზრუნველყოფა.** დღეს ბევრი მრავალშვილიანი ოჯახი უსახლკაროდ გვყავს. თუმცა, ისინი ქუჩაში არ არიან, რადგან მუნიციპალიტეტები მათ უხდის ბინის ქირის თანხას; **4) განათლების მიცემის ხელშეწყობა სკოლის ასაკში, ასევე, აბიტურიენტებისთვის.** მრავალშვილიანი ოჯახების მშობლებს არა აქვთ საშუალება, საკუთარ შვილებს მისაღებ გამოცდებში მონაწილეობა მიაღებინონ, რადგან ისინი ვერ ამზადებენ ბავშვებს შესაბამის საგნებში. ამიტომ სახელმწიფომ დახმარება უნდა გაუწიოს ორ კონკრეტულ საგანში მაინც — უნარ-ჩვევებსა და უცხო ენის შესწავლაში.

— ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ საქართველოში დღემდე არ არსებობს მრავალშვილიანის სტატუსი. არავინ იცის, რამდენშვილიანი ოჯახი ითვლება მრავალშვილიანად — სამი, ოთხშვილიანი თუ მეტი?

— 2007 წელს გაუქმდა მრავალშვილიანობის სტატუსი და დღეს საქართველოში არ არსებობს ერთიანი სტანდარტი.

— ნაციონალებმა თანხების დაზოგვის მიზნით გააუქმეს მრავალშვილიანობის სტატუსი?

— 2007 წლამდე მრავალშვილიანად ითვლებოდა შვიდ და მეტშვილიანი ოჯახი და თითო ბავშვზე იყო ხუთლარიანი დახმარება. ნაციონალებმა ესეც გააუქმეს, რომ თანხა მოეხსნათ. გარდა თანხისა, იყო კიდევ პატარა შეღავათები ძველი მთავრობის — შევარდნაძის პერიოდში მიღებული, ისინიც მოუხსნეს, დარჩათ მხოლოს ის, რომ, თუ მრავალშვილიანი ოჯახი სოციალურად დაუცველი იყო, მხოლოდ მაშინ მიიღებდა სოციალურ დახმარებას.

— თქვენი ფონდის მოსაზრებით, რამდენი შვილის ყოლა უნდა ჩაეთვალოს ოჯახს მრავალშვილიანად?

— ჩვენი მოსაზრებაა, რომ მრავალშვილიანად ჩაითვალოს 4 და მეტშვილიანი ოჯახები, თუმცა, ჯანდაცვის კომიტეტის და უშუალოდ დიმიტრი ხუნდაძის მოსაზრებაა, რომ მრავალშვილიანად ჩაითვალოს 3 და მეტშვილიანი ოჯახები. ჩვენს მოსაზრებაში არ ვართ კატეგორიულები, თუმცა, ხელისუფლება მარტისთვის საყოველთაო აღწერის საბოლოო შედეგებს ელოდება. ამჟამად რამდენი ორ, სამ ან მეტშვილიანი ოჯახი გვყავს საქართველოში, ესეც არ ვიცით. გარდა ამისა, ოჯახის ხელშეწყობის პოლიტიკა გულისხმობს დახმარებას არა მარტო მრავალშვილიანი და ახლად შექმნილი ოჯახებისთვის, არამედ — მარტოხელა მშობლებისთვის.

ნანა იმერლიშვილი

◎ ინფორმაცია

იაკუბლოს წყალსაცავის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

იაკუბლოს წყალსაცავი ექსპლუატაციაში შევიდა 1978 წელს. ბოლო წლებში კაშხლის ფერდობსა და მიმდებარე ტერიტორიაზე შეინიშნებოდა ფილტრაციული კერების ზრდა, რაც საფრთხეს უქმნიდა კაშხლის მდგრადობას და აფერხებდა წყალსაცავის სრული დატვირთვით ფუნქციონირებას. შპს საქართველოს მელიორაციის ინფორმაციით, წყალსაცავი 3000 ჰექტარი მიწის ფართობს ამარაგებს სარწყავი წყლით, ხოლო მთისძირისა და პანტიანის წყალსაცავებთან ერთად ბოლნისის, დმანისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის, საერთო ჯამში 8 000 ჰექტარი მიწის ფართობის წყალუზრუნველყოფას ემსახურება.

მიმდინარე წლის თებერვალში დაიწყო წყალსაცავის რეაბილიტაციის პროექტის პირველი ეტაპი. წყალსაცავზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ დავით გალეგაშვილმა და შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა ლევან დვალმა დაათვალიერეს.

იაკუბლოს წყალსაცავის რეაბილიტაციის შემდეგ, შესაძლებელი გახდება მისი სრული დატვირთვით და უსაფრთხო ფუნქციონირება.

ურბნისის მონასტერთან მისასვლელი გზის განახლება მალე დასრულდება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ირაკლი ხერგიანმა ურბნისის მონასტერთან მისასვლელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მოინახულა. 1 კმ-იანი სარეაბილიტაციო მონაკვეთი ქარელის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. გზას VI საუკუნის ისტორიულ ძეგლთან - ურბნისის მონასტერთან მივყავართ და სოფელ ურბნისს და ურბნისის მონასტერს თბილისი-სენაკი-ლესელიძის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო მაგისტრალთან აკავშირებს.

გზის სარეაბილიტაციო მონაკვეთი 30 წელია, არ შეკეთებულა და ასფალტ-ბეტონის საფარი თითქმის არ იყო შემორჩენილი. პროექტი, ითვალისწინებს ასფალტ-ბეტონის საფარის დაგებას, კიუვეტებისა და გაბიონების, ადგილობრივ გზებთან მიერთებების, მოსახლეობის ეზოებში შესასვლელებისა და საგზაო ნიშნების მოწყობას; წყალგამტარი მილებისა და ბეტონის ღარების შეკეთებას. ასევე, გზის შემოფარგვლასა და ჰორიზონტალურ მონიშვნას. ამჟამად, გზის საფუძვლის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

ტყვიის სროლა

ევროპიდან – ოქროთ მედლითა და ლიცენზიით

უნგრულ დიორში დამთავრდა პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში ევროპის ჩემპიონატი, რომელიც ქართველი ჩუბინეებისთვის, განსაკუთრებით – ახალგაზრდებისთვის, წარმატებული გამოდგა. უპირველესად 18 წლის ცოტნე მაჭავარიანის მონაგარი უნდა აღვნიშნოთ: ოლიმპიური ჩემპიონის – ნინო სალუქვაძის ვაჟმა საკვალიფიკაციო ეტაპზე 579 ქულა მოაგროვა და ფინალში მე-6 შედეგით შევიდა, თანაც ერთ-ერთ სერიაში მაქსიმალური – 100 ქულა მოაგროვა. ასპარეზობის გადამწყვეტ ეტაპზეც ცოტნე მე-6 ადგილზე გავიდა და რიოს ოლიმპიური თამაშების ლიცენზია მოიპოვა, რადგან მის წინ მდგომ ხუთ სპორტსმენს ბრაზილიაში გასამგზავრებელი ბილეთები უკვე დაჯავშნული ჰქონდა.

საგულისხმოა, რომ ნინო სალუქვაძემ ჯერ კიდევ შარშან დაისაკუთრა 2016 წლის თამაშების საგზური და ოლიმპიადების სამივე სინჯის მედლის მფლობელი თამაშებზე მერვედ მოსინჯავს ძალებს, რაც მსოფლიო სპორტის ისტორიაში უნიკალური შემთხვევაა. ასევე, უნიკალურია და ქართული სპორტის მატიანეში პირველი შემთხვევა, რომ ოლიმპიადაზე ერთად იასპარეზებს დედა-შვილი, თანაც ერთ სახეობაში. საგულისხმოა ისიც, რომ ორივეს მწვრთნელია ბატონი ვახტანგ სალუქვაძე – ნინოს მამა და ცოტნეს ბაბუა.

ახალგაზრდა ქართველმა ჩუბინმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფინალში მეექვსე ადგილი დაიკავა – 118.3 ქულას მოუყარა თავი. ჩემპიონობა 198.5 ქულით თურქმა იუსუფ დიკეცმა მოიპოვა, ხოლო მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, ესპანელი პაბლო კარერა (197.6) და უკრაინელი პავლო ხოროშილოვი (178.4) გავიდნენ. ლევან ქადაგიძეს 566 ქულით 61-ე ადგილი ხვდა.

ქალებში ნინო სალუქვაძე უმედლოდ, 16 წლის ლიზი კილაძე კი ულიცენზიოდ დარჩა. დიორში საკვალიფიკაციო ეტაპზე ორივემ 378-378 ქულა მოაგროვა. კილაძეს მე-15, სალუქვაძეს კი მე-17 ადგილი ერგო. კვარცხლბეკზე ავიდნენ: 1. უკრაინელი ევროპის, მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონი ოლენა კოსტევიჩი (ფინალში 200.9 ქულა), 2. ბულგარელი ანტოანეტა ბონევა (199.0) და 3. სერბი მსოფლიოს ჩემპიონი ზორანა არუნოვიჩი, რომელსაც „ბრინჯაოსთან“ ერთად რიოს საგზურიც ხვდა. ულიცენზიოდ დარჩნენ ბულგარელთა ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი მარია გროზდევა და გერმანელთა მონღოლური წარმოშობის ორ-ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიური ბრინჯაოს პრიზიორი მუნკბაიარ დორჯსურენი. შეგახსენებთ, რომ ტურნირის პირველივე დღეს გოგონებში ვერცხლის მედალი ქუთაისელმა ნინო ხუციბერიძემ მოიპოვა.

ლექსო ცინცაძე

სურათზე: დედა-შვილი – ნინო სალუქვაძე და ცოტნე მაჭავარიანი.

ვაჟა დანელიას ფოტო.

არჩევნები

ნიჩბოსნებს ალანია უთავკაცებს

გასულ უქმეებზე ქართველი ნიჩბოსნები რიგგარეშე ყრილობაზე შეიკრიბნენ, რათა ფედერაციის ახალი თავკაცი აერჩიათ (ყოფილი პრეზიდენტი ბეჟან ხურციძე შარშან დეკემბერში გარდაიცვალა). ვაკანტური ადგილის დასაკავებლად ფედერაციაში სამი განცხადება შევიდა, მაგრამ ქუთაისის სანიჩბოსნო სკოლის დირექტორმა ზვიად შანიძემ თავისი კანდიდატურა ყრილობის დაწყებისთანავე მოხსნა ფოთის ნიჩბოსნობის ფედერაციის პრეზიდენტის, საზღვაო-სატრანსპორტო სააგენტოს უფროს ვახტანგ ალანიას სასარგებლოდ, დამოუკიდებელი კანდიდატი ლევან მერაბიშვილი კი ფორუმზე საერთოდ არ გამოცხადდა. ამდენად, ყრილობის 14 დელეგატმა ერთხმად დაუჭირა მხარი საქართველოს ნიჩბოსნობის ფედერაციის პრეზიდენტად ვახტანგ ალანიას. საპატიო პრეზიდენტად ჯიბილო გოგლიჩიძე, ვიცე-პრეზიდენტად ზვიად შანიძე, ფედერაციის გამგეობის წევრებად კი ნიკოლოზ მიქაუტაძე, ირაკლი მოდრეკილაძე, გენადი პატარაია და ფრიდონ ბირკაია აირჩიეს.

გივი გაგუა

კალათბურთი

მართლაც, აჯაფსანდალი!

სუპერლიგის XIX ტურში ლიდერებმა ერთდროულად წაიფორხილეს, ასე რომ, სატურნირო ცხრილში ისევ ორხელისუფლებიანობაა.

„აკადემია“ – „ბათუმი“ 77:74, „სოხუმი“ – „დინამო“ 85:61, „ქუთაისი“ – „ოლიმპი“ 94:82, „მგზავრები“ – „რუსთავი“ 63:84.

სატურნირო მდგომარეობა: „ბათუმი“, „დინამო“ – 12-12, „სოხუმი“, „ქუთაისი“ – 11-11, „მგზავრები“ – 10, „რუსთავი“, „ოლიმპი“ 8-8, „აკადემია“ – 4 მოგება.

* * *

ვთბ გაერთიანებული ლიგა. „უნიქსი“ (ყაზანი) – „ვითა“ (თბილისი) 81:57 (37:34).

ქართული კლუბი ერთადერთად რჩება ტურნირში, რომელსაც ჯერ მოგება არა აქვს.

ვიტალი ჯაფარიძე

რაგბი

ვაკე კარგად აქვთ დაცდილი

ერთა თასი. მიხეილ მესხის სტადიონი.

საქართველო-ესპანეთი 38:7.

ქართველი და ესპანელი მორაგბეები 2000 წლიდან ერთა თასზე გასულ შაბათს მეჩვიდმეტედ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. წინა 16 შეხვედრაში 12-ჯერ „ბორჯღალოსნებმა“ გაიმარჯვეს, სამჯერ პირენეელებმა მიაღწიეს წარმატებას, ერთი პაექრობა კი ფრედ დასრულდა. მასპინძლებს განსაკუთრებით კარგად აქვთ დაცდილი ვაკის სტადიონი: 2011 წელს მიხეილ მესხზე ჩვენებმა ესპანელებს 60:0 მოუგეს, ორი წლის შემდეგ კი 61:18 სძლიეს. მართალია, ამჯერად სარეკორდო ანგარიშით ვერა, მაგრამ ქართველებმა სტუმრებს 31 ქულით აჯობეს.

მატჩი ჩვენი მორაგბეების შეტევებით დაიწყო. მე-10 წუთზე უხეშობისთვის არბიტრმა ესპანეთის ნაკრების შერკინების ბურჯი ფერნანდო ლოპესი გაასინბინა, რასაც ოთხიოდე წუთში ქართველთა საჯარიმო ლელო მოჰყვა. კვირიკაშვილმა უნაკლოდ გარდასახა. 21-ე წუთზე მილტონ ჰეიგის შეგირდებს მორიგი ლელო უნდა გაეტანათ, მაგრამ ესპანელთა გარემარბმა ხულენ გოიამ ჩვენების გადაცემა ჩაჭრა, 95 მეტრი ისე ირბინა, რომ ხელი ვერავინ შეუშალა და ლელო გაგვიტანა. გრიფითსმა ზუსტი გარდასახვით წონაწორობა აღადგინა. მთელ მატჩში ეს ეპიზოდი იყო ესპანელთა ერთადერთი ნათელი წერტილი, რადგან სხვა შემთხვევებში ბურთი სულ ქართველებს ჰქონდათ და მათი იერიშები ლელოებით მთავრდებოდა. თუმცა, ხშირად მასპინძლებიც სცოდავდნენ და პაექრობის მსვლელობისას დაშვებული ამდენი შეცდომა რომ არა, ანგარიშში სხვაობა უფრო სოლიდური იქნებოდა. ისე, 38:7-საც არაფერი დაეწუნება. მით უმეტეს, რომ ამ მოგებით ჩვენებმა პრემიული ქულაც დაიმსახურეს.

მატჩის შემდეგ

სანტიაგო სანტოსი, ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „რა თქმა უნდა, შედეგით უკმაყოფილო ვარ, თუმცა, მატჩი ლოგიკური ანგარიშით დასრულდა. თქვენმა მორაგბეებმა ყველა კომპონენტში გვაჯობეს. ვფიქრობ, ერთა თასზე ქართველები ყველა მეტოქეზე სამოოთხი თავით მაღლა დგანან“.

მილტონ ჰეიგი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „მატჩი 31 ქულით მოვიგეთ, მაგრამ შეცდომები ბევრი იყო, ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ თამაშის ხარისხმა დაგვაკმაყოფილა. წლების წინათაც ვამბობდი, რომ არ გვსურს, ჩვენი თამაში მხოლოდ შერკინებაზე იყოს აგებული. ამაზეც აუცილებლად ვიმუშავებთ. მნიშვნელოვანი პაექრობები გველის რუსეთსა და რუმინეთთან. ამ ტურნირში ჩვენი მიზანი გამარჯვებაა და არა ექსპერიმენტების ჩატარება“.

III ტური. რუმინეთი-რუსეთი 30:0, გერმანია-პორტუგალია 50:27.

სატურნირო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
საქართველო	3	3	0	0	+126	15
რუმინეთი	3	3	0	0	+58	14
რუსეთი	3	2	0	1	-2	9
გერმანია	3	1	0	2	-55	5
ესპანეთი	3	0	0	3	-36	2
პორტუგალია	3	0	0	3	-74	1

IV ტური

12 მარტი. რუსეთი-საქართველო, ესპანეთი-პორტუგალია, რუმინეთი-გერმანია.

ლაშა დიდია

ფიფაში

ძველთა ახალი კაცი

კორუფციის ბუდეს – ფიფას 45 წლის შვეიცარიელი ჯანი ინფანტინოს სახით მეცხრე პრეზიდენტი ჰყავს.

უეფას ყოფილმა გენერალურმა მდივანმა, საეჭვო რეპუტაციის მიშელ პლატინის მარჯვენა ხელმა და მამალი მაფიოზის ზეპ ბლატერის თანამემამულემ კენჭისყრის პირველ რაუნდში 88 ხმა მიიღო, ხოლო მეორეში – 115. მას სამი შვილი ჰყავს.

კობა კობახიძე

ფეხბურთი

აქეთურ-იქითური

ეროვნული ჩემპიონატის XVIII ტური. „საბურთალო“ – „დინამო“ 0:4, „დილა“ – „ტორპედო“ 0:1, „ზუგდიდი“ – „ცხინვალი“ 1:1, „ლოკომოტივი“ – „სამტრედია“ 0:1, „შუქურა“ – „სიონი“ 0:0, „კოლხეთი“ – „ბათუმი“ 0:1, „მერანი“ – „ჩიხურა“ 3:2, „საპოვნელა“ – „გურია“ 0:2.

სატურნირო მდგომარეობა: „დინამო“ – 49, „დილა“ – 39, „ცხინვალი“, „სამტრედია“ – 35-35, „სიონი“ – 34, „ბათუმი“ – 33, „ჩიხურა“ – 30, „ტორპედო“ – 26, „შუქურა“ – 24, „საბურთალო“ – 21, „კოლხეთი“ – 18, „ლოკომოტივი“, „გურია“ – 15-15, „მერანი“ – 11, „ზუგდიდი“ – 9, „საპოვნელა“ – 8 ქულა.

იტალია. „იუვენტუსი“ – „ინტერი“ 2:0, „ემპოლი“ – „რომა“ 1:3, „მილანი“ – „ტორინო“ 1:0.

ესპანეთი. „ბარსელონა“ – „სევილია“ 2:1, „რეალი“ – „ატლეტიკო“ 0:1, „ვალენსია“ – „ბილბაო“ 0:3.

ინგლისი. „ლესტერი“ – „ნორვიჩი“ 1:0, „ტოტენჰემი“ – „სუონსი“ 2:1, „მანჩესტერი“ – „არსენალი“ 3:2.

ლიგის თასის ფინალი. „ლივერპული“ – „სიტი“ 1:2 (დამატებით დროში, 1:1).

გერმანია. „ვოლფსბურგი“ – „ბაიერნი“ 0:2, „ბორუსია“ – „ჰოფენჰაიმი“ 3:1, „კიოლნი“ – „ჰერტა“ 0:1.

საფრანგეთი. „ლიონი“ – „პსჟ“ 2:1.

გიორგი ზოთაძე

ინტერნეტიდან



სიმაო ქალმა აასუნდრუკა

გონივრული ეჭვი გვაქვს, რომ ფეხბურთის დაშხოშიანად მოყვარულებს აუცილებლად გემახსოვრებათ ერთ დროს დიდად პოპულარული პორტუგალიელი ფეხბურთელი სიმაო საბროსა. აწ უკვე ვეტერანს ხომ ისეთ კოხტა კლუბებში უბურთავია, როგორიც მადრიდის „ატლეტიკო“, ლისაბონის „ბენფიკა“ და „ბარსელონაა“.

ამ სიბერეში ეს ჩვენი სიმაო ნამეტნავად აცუნდრუკებულა, აცანცარებულა და თავის გულისსწორთან, ცუნდრუკთა შორის უცუნდრუკეს ვანესა რებელოსთან ერთად ისეთ ფოტოსესიაში მიუღია მონაწილეობა, სადაც ნიფხავიც კოხტად გაუხდია და თავისი სხეულის დაფარული ადგილები ხაშლამასავით დაუწყვია ფოტოკამერის წინ.

როგორც სიმაო იძახის, მას ვანესა რებელო დიდი ხნის განმავლობაში „კერავდა“, ამ ფოტოსესიაში მონაწილეობისათვის თანხმობა რომ მიეღო და საბოლოოდ, როგორც ხედავთ, მაინც ამ ეშმაკმა ქალმა გაიმარჯვა. ახლა დადგეს ეს ჩვენი სიმაო საბროსა და უსმინოს ყოფილი თანაგუნდელების ქილიკსა და ხითხითს, რაც აუცილებლად იქნება.

როსტომ რაჭველიშვილი

სულთათანა

დავით კახაბერი

ქართულმა სამწერლო ოჯახმა მძიმე დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე **დავით გიორგის ძე კახაბერი**.

დავით კახაბერი ქართული მთარგმნელობითი სკოლის ერთ-ერთი აღიარებული წარმომადგენელი იყო და თავისი პირველხარისხოვანი თარგმანებით ამდიდრებდა მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობას...

დავით კახაბერი დაიბადა 1946 წლის 11 ივლისს გურჯაანის რაიონის სოფელ გურჯაანში. 1964 წელს დაამთავრა ქალაქ გურჯაანის საშუალო სკოლა, 1971 წელს კი — თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ფრანგული ენის ფაკულტეტი.

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ დავით კახაბერი სხვადასხვა დროს მსახურობდა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების რეფერენტად, საქართველოს მწერალთა კავშირის უცხოეთის განყოფილების გამგედ, საქმეთა მმართველად, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ პასუხისმგებელ მდივნად, ფრანგულენოვან გაზეთ „ფრანკოფონიური საქართველოს“ რედაქტორად, გამომცემლობა „მერანის“ რედაქტორად. არჩეული იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობების საქართველოს საზოგადოების ლიტერატურული სექციის ბიუროს წევრად, ამავე საზოგადოების საქართველო-რუმინეთის განყოფილების წევრად, საზოგადოებების „ალიანს ფრანსეზისა“ და „ფრანკოფონიური საქართველოს“ წევრად... ყველგან, სადაც კი იმუშავა დავით კახაბერმა, ყველგან თავისი კვალი დატოვა, როგორც სიკეთითა და მადლით სავსე პიროვნებამ. როგორ შეიძლება არ გავიხსენოთ საქართველოში სტუმრად ჩამოსული უცხოელი მწერლების მადლიერებით სავსე წერილები, რომლებიც პირადად უხდიდნენ მადლობას ბატონ დავითს, საოცარი ინტელიგენტურობისთვის, ტაქტისთვის, გულითადი მასპინძლობისთვის...

დავით კახაბერის სამწერლო დებიუტი 1976 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „საქართველოს ქალში“ გამოქვეყნდა ანდრეო მორუას მოთხრობა „სეზონის ყვავილების“ მისეული თარგმანები. დებიუტი ფეხბედნიერი გამოდგა და სალიტერატურო საზოგადოებას ახალი ნიჭიერი მთაგმნელის დაბადება ამცნო.

მას შემდეგ ქართველი გემოვნებიანი და მომთხოვნი მკითხველი დიდი ინტერესით ეცნობოდა დიდი ფრანგული მწერლობის აღიარებული დიდოსტატების შემოქმედების დავით კახაბერისეულ ისეთ თარგმანებს, როგორიცაა დენი დიდროს „მონაზონი“ და „რამოს ძმისწული“, ანდრე მორუას ბიოგრაფიულ რომანებს ჟორჟ სანდზე, ბალზაკზე, დიზრაელზე, შელზე, „სამ დიუმას“, ალბერ კამიუს „ორგულ ცოლსა“ და „ტიპასანში დაბრუნებას“, ეჟენ იონესკოს რომან „განდგომილს“, პიესებს „მეფე კვდება“, მომავალი კვერცხებშია“, „მარტორქას“, „გაკვეთილს“, „მაკბეტს“, „უაკი ანუ დამორჩილებას“, „ქაჩალ მომღერალ ქალს“,ერვე ბაზენის „ერთ ცეცხლს გაანელებს მეორე ცეცხლი“, ჟან ანუის „ქურდების მეჯლისს„, ემანუელ რობლესის „ქალაქის აღმართებზე“ და „კაბილიის ბულბულს“, მიშელ უელბეკის „რუკა და ტერიტორიას“, ანდრე ჟიდის „ყალბი ფულის მჭრელებს“, ბომარშეს „ფიგაროს ქორწინებას“, ჟან რიკოს „ღირსების ველებს“, ჯიდუ კრიშნამურტის „რვა საუბარს ბომბეიში“, თანამედროვე სომხური პროზის ანთოლოგიას...

ამ თარგმანებში სრულად გაცხდდა, თუ რა სრულყოფილად ფლობდა დავით კახაბერი ფრანგულ ენას; რა გემოვნებით არჩევდა სათარგმნ მასალას, რომლებიც ფრანგულ მწერლობაში საეტაპო ნაწარმოებებად მიიჩნევა; როგორ ახერხებდა ორიგინალის თხრობის მანერის, თავისებურებების, განწყობილების, ხასიათის შენარჩუნებას. ეს თარგმანები ლაღია და ბუნებრივი. ამ თარგმანებში გამჟღავნდა ქართული ენის მდიდარი ლექსიკისა და იდიომატური მეტყველების ჩინებული ცოდნაც.

დავით კახაბერის მრავალწლიანი უაღრესად ნაყოფიერი მთარგმნელობითი მოღვაწეობა სათანადოდ დაფასდა. მას მინიჭებული ჰქონდა ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია (ორგზის), დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენითა და მედლით.

ქართველი მწერლები გულისტკივილით ემშვიდობებიან დავით კახაბერს, შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში მყოფ მთარგმნელს, რომელსაც კიდევ არაერთი ბრწყინვალე თარგმანით შეეძლო ქართველი მკითხველის გახარება.

საქართველოს მწერალთა კავშირი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მთარგმნელი და პუბლიცისტი, შესანატრი ადამიანური თვისებებით გამორჩეული პიროვნება, ჭეშმარიტი ინტელიგენტი და მამულიშვილი

დავით კახაბერი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სანთელი

ჩვენი „ილიჩი“

ვალიკო სიმონიშვილის გახსენება

სევდიანი, ცრემლიანი და ტკივილიანი გამოდგა შარშანდელი წლის დასაწყისი ჩვენი რედაქციისთვის, არა მარტო ჩვენთვის, არამედ ყველა ადამიანისთვის, ვინც ქართულ პრესას უწინდებურად ეცნობა და ჟურნალისტებიც თავიანთ საახლობლოდ მიაჩნია. ჯერ იყო და ბატონი ელგუჯა ლებანიძის მოულოდნელმა გარდაცვალებამ გაგვაოგნა, შემდეგ... მარგო ლეკიშვილი, ბონდო გულიაშვილი, ანზორ ბასილაია, ვალიკო გოგოლაშვილი, ვალიკო სიმონიშვილი — ჩვენი „ილიჩი“ — საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტები, ქართული სიტყვისა და ჟურნალისტთა დიდი ოჯახის ერთგულები. ერთი წელი შესრულდა, რაც მათ ზეციურ საქართველოში გადაინაცვლეს.

„ჩვენი ილიჩი“, ასე მივმართავდით დიდი და პატარა **ვალიკო სიმონიშვილს**. საოცრად ენერგიულს, იუმორით ნასაზრდოებ ცნობილ ჟურნალისტს, ქართული ტრადიციების ერთგულსა და მეგობრისთვის ყოველთვის დაუზარელ ადამიანს. გურული ფესვების მქონე, უბატონო ქიზიყში, სიღნაღში დაბადებულ კაცს კახურ სიდინჯესა და დარბაისლობასთან ერთად, გურული სიფიცხე და იუმორის გრძნობა ისე ლამაზად ჰქონდა ერთმანეთში შეზავებული, რომ ნაღდ კოლორიტულ პიროვნებად ხდიდა. ამაყობდა იმით, რომ დედაუნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პირველ კურსდამთავრებულთა შორის იყო და იმ დღიდან არასოდეს უღალატნია თავისი პროფესიისთვის. იტყვიან კაცზე, გარდაიცვალაო, მაგრამ ვალიკო სიმონიშვილი, სანამ ჩვენი რედაქციელი, ყველა მისი მეგობარი ხშირად გაიხსენებს — „ილიჩი“ რომ იტყოდა, ნეტავ „ილიჩი“ როგორ დაწერდა? და ა. შ. — იგი ყოველთვის ცოცხალი იქნება. ასე რომ, ძნელია, დღე გავიდეს და არ გავიხსენოთ ჩვენი უფროსი მეგობარი.

ერთი წელი უცებ გაფრინდა, ისევ შევიკრიბებით შენი მეგობრები, საძმოსა და შენი ლამაზი ოჯახის წევრები და გავიხსენებთ იმ ლამაზ წლებს, რომლებიც ერთად გაგვიტარებია.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, ლამაზო, ერთგულო და პროფესიონალო უფროსო მეგობარო, ჩვენო „ილიჩ“.

მეგობრები „საქართველოს რესპუბლიკიდან“

⊙ კრიმინალი

ქრთამის აღების ფაქტზე ქედის გამგეობის მთავარი სპეციალისტი დააკავეს

ქრთამის აღების ფაქტზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ერთი პირი დააკავეს. დაკავებული ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტია დაბა ქედის ადმინისტრაციულ ერთეულში.

გამოძიების ინფორმაციით, მან მოქალაქეს სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმომავლობის ცნობის დამზადების სანაცვლოდ 2 ათასი დოლარი, ქრთამის სახით გამოართვა.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს.

რედაქცია მაჩაბლის ქ. №7.
293-37-87

⊙ ჩვენი კარაბადინი

მოიგერიეთ შეტევა გულზე!

შემოდგომასა და გაზაფხულზე ბევრს, მათ შორის არცთუ ასაკოვან ადამიანს ერთი შეხედვით გაურკვეველი მიზეზით თავის ტკივილები და გახშირებული გულისცემა ეწყება, თვალწინ თითქოს მწერები დაფრინავენ. თუმცა კი, ცოტა ხანში, ასევე მოულოდნელად, ყველაფერი თავისით გადის...

მედიკოსები კი აცხადებენ, რომ აღნიშნული სიმპტომები — ვეგეტოსისხლძარღვული დისტონიის კლასიკური გამოვლინებებია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის ვეგეტატიური ნერვული სისტემის სისხლძარღვთა ტონუსის აშლილობა. უფრო სწორად, ეს ავადმყოფობა კი არა (ამ დროს შიდა ორგანოების დაზიანებები არ აღინიშნება), არამედ აშლილობაა, რომლის დროსაც ორგანიზმის გარემო პირობებთან ადაპტირება ირღვევა.

ამიტომაცაა, რომ ბევრს დისტონიის შეტევები წლის თბილსა და ცივ დროებს შორის შუალედებში (განსაკუთრებით ტემპერატურათა მკვეთრი ცვალებადობის დროს), ავადმყოფობის შემდეგ (როცა ორგანიზმი დასუსტებულია), ასევე ფსიქოემოციური გადაღლისას და სტრესების დროს მოსდის. ექიმების მიერ დადგენილია, რომ **დისტონიის შეტევების პროვოცირება მატონიზირებელი სასმელების (მაგალითად, ყავისა და ალკოჰოლის) ჭარბი მოხმარების, უძილობის, ზედმეტი როგორც გონებრივი, ასევე ფიზიკური გადაღლის შედეგად ხდება.**

ვეგეტოსისხლძარღვული დისტონია საკმაოდ ხშირად გვხვდება: სტატისტიკური მონაცემებით მას ქალების 40 და მამაკაცების 20 პროცენტი უჩივის.

არიან ადამიანები, რომლებსაც ვეგეტოსისხლძარღვული დისტონია, რომ იტყვიან, „აკვნიდან“ აქვთ დაბედებული. **ვეგეტატიური ნერვული სისტემის დარღ-**

ვევები უფრო ხშირად ფსიქიკური პრობლემების მქონე ემოციურ, განგაშის მძაფრი განცდების მქონე, ეჭვიან ადამიანებს, ასევე იმათ ემართებათ, ვისაც ჰორმონალური დარღვევები აქვთ — სქესობრივი მოწიფების ხანაში მყოფ ყმაწვილებს, ფეხმძიმე ქალებს, დისფუნქციების მქონე და მენოპაუზის პერიოდში მყოფ ქალბატონებს.

თუმცა, ამ კატეგორიის პირთათვის კარგი ამბებიც არის. ერთი, რომ ვეგეტოსისხლძარღვული დისტონიისგან ჯერ არავინ მომკვდარა. მეორეც, ის, რომ, მართალია, ეს აშლილობა ბოლომდე არ იკურნება, მაგრამ საკუთარი მდგომარეობის შემსუბუქება ყველას თავისით შეუძლია.

თავდაპირველად უნდა მოაწესრიგოთ დღის რეჟიმი (დასაძინებლად დაწვეთ შუაღამემდე და ლოგინში არანაკლებ 8 საათისა გაატაროთ). ვეგეტოსისხლძარღვული დისტონიის როგორც **პროფილაქტიკის, ასევე მკურნალობის განუყოფელი ნაწილი ფიზიკური ვარჯიშია.** მათი შესრულება სასურველია სუფთა ჰაერზე — ვარჯიში ძილის მოწესრიგებაშიც დაგეხმარებათ და თავსაც უკეთ გაგრძნობინებთ. კარგი ეფექტი აქვს გაკაჟების პროცედურებს (კონტრასტულ შხაპს, ცივი წყლის გადასხმას, ჰაერის აბაზანებს, რადგან ისინი არა მარტო სხეულს, არამედ ფსიქიკასაც აკაჟებენ), აგრეთვე **აუტოტრენინგს** (რეგულარული მოდუნება თავს „განტვირთავს“) და **სუნთქვით ტანვარჯიშებს.**

თუკი პრობლემას კონტროლს საკუთარი ძალებით ვერ უქვემდებარებთ, ექიმს მიმართეთ. **მდგომარეობის შემსუბუქებას ხელს უწყობს მასაჟი, ნემსებით ჩხვლეტა, რბილი სედატიური საშუალებების მიღება, რომელთა შერჩევაში ექიმი დაგეხმარებათ.**

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

კატალონიური „ღვინის ტაძრები“

კატალონიის საფეხბურთო გუნდი „ბარსელონა“ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა, მას ჩვენშიც უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს, თუმცა კი კატალიონიის კიდევ ერთი მარგალიტის, საქვეყნოდ ცნობილი ღვინის სამშობლოს, რაიონ ტერა-ალტას შესახებ ბევრს, შესაძლოა, არც სმენია.

არადა, სწორედ იქ აყენებენ წარმომავლობის ადგილის დასახელების ღვინოებს, რის უფლება მხოლოდ უმაღლესი კლასის სასმელებს ენიჭებათ. ტერა-ალტაში გარნაჩა-ბლანკას ჯიშის ყურძნის მსოფლიო მოცულობის მესამედი მოდის და მისგან ხილის სურნელოვან და გემოიან არაჩვეულებრივად მსუბუქ თეთრ ღვინოებს აყენებენ. ამ ფიჭვისა და მუხის ტყეებით დაფარულ „მაღალ მიწაზე“ (ასე ითარგმნება ესპანურიდან „ტერა-ალტა“) არის მსოფლიოში უნიკალური, დიდებული „ღვინის ტაძრები“ — მეღვინეობის მეურნეობები და ღვინის სარდაფები, რომლებიც დიდი ანტონიო გაუდის მოწაფის, ცნობილი კატალონიელი არქიტექტორის **სეზარ მარტინელის** პროექტებითაა შექმნილი.

თუ რა ძალა ჰქონია არქიტექტურას, ამ „ქვაში გაცოცხლებულ მუსიკას“, ტერა-ალტას მაგალითზეც ჩანს: სეზარ მარტინელის უნიკალურმა ნაგებობებმა მხარეში მეღვინეობის უძველესი დარგის აღორძინებას უდიდესი იმპულსი მისცა. საქმე ისაა, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში, საფრანგეთიდან ტერა-ალტამდე ვაზის საშინელი მავნებლის — ფილოქსერას ეპიდემია გავრცელდა და იქაური ზვრები ერთიანად გაანადგურა. მაშინ საფრანგეთშიც და ესპანეთშიც უამრავი, მეღვინეობის მეურნეობა განადგურდა, დიდძალმა ხალხმა ქალაქებს მიაშურა, მაგრამ დარჩენილები კოოპერატივებში გაერთიანდნენ, რომელთა წყალობით კატალონიური სოფელი გადარჩა და მთავარი — ღვინისა და ზეითუნის ზეთის — წარმოებების აღორძინება შეძლო. ყველაზე მთავარი კი ის გახლავთ, რომ **სეზარ მარტინელის, მოდერნისტი არქიტექტორის სახით, რომელმაც სოფლის მეურნეობაში საკუთარი პროფესიული ზრდის საგულისხმო შესაძლებლობები დაინახა, იქაურმა გლეხობამ მოულოდნელი მხარდაჭერა ნახა. სეზარ მარტინელი პრაქტიკული კაცი იყო: ვიდრე პროექტს მოჰკიდებდა ხელს, მან საგულდაგულოდ შეისწავლა ღვინის წარმოების პროცესის ყველა წვრილმანი, რათა მარტო არქიტექტურული შედევრები კი არა, არამედ ისეთი ნაგებობები შეექმნა, რომლებიც მეღვინეებს ღვინის დაყენების მთელი ციკლის ოპტიმიზაციისა და ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობას მისცემდა, რაც დარგს ააღორძინებდა.** ასეც გამოვიდა: მარტინელმა მეღვინეობისთვის განკუთვნილი ორი შენობის პროექტი შექმნა — ესენია კათოლიკური საყრდენების სტილის ნაგებობები ყველა დამახასიათებელი ელემენტით, თუმცა კი ჩინებულად მორგებული ღვინის დაყენების საინჟინრო-ტექნოლოგიური ამოცანების გადაწყვეტაზე, მწერალმა ანდელა გრიგერამ კი მეღვინეობის ორი კოოპერატივის — განდეზასა და პინელ დე ბრაის ნაგებობებს, მოდერნის სტილის ამ ორ მარგალიტს, „ღვინის ტაძრები“ უწოდა.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

მილოცვა

საქართველოს ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის კრებამ აფხაზეთში ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი

რაჟდენ ვლადიმერის ძე ძარდავა

აირჩია აკადემიის ნამდვილ წევრად — აკადემიკოსად.

ვულოცავთ ბატონ რაჟდენს ამ აღიარებას და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს.

ნუგზარ ნადარაია, აკადემიის პრეზიდენტი;
აკადემიის ნამდვილი წევრები:
ბაკურ გულუა, ვაჟა ეგრისელი, სიმონ ზაძარაია, ზურაბ ბუკია.
მეგობრები: **ბესო ძარდავა, რევაზ ეზუგბაია, შალვა ბეთხოშვილი, ომარ გოგოხია.**

◎ ინფორმაცია

საბავშვო ბაღების თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსი გადაიდო

თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებში საკადრო რეზერვის შესაქმნელად ჩატარებული კონკურსის გასაუბრების ეტაპი 14 მარტამდე გადაიდო.

დედაქალაქის მერიის ინფორმაციით, გასაუბრება დაახლოებით, ორი თვის განმავლობაში გაგრძელდება და მასზე მოწვეული იქნება ყველა კონკურსანტი, რომელმაც ტესტირების ეტაპზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (21 ქულა) გადალახა.

გასაუბრებას ჩაატარებს საagენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და კოორდინაციის სამსახური.

შესაბამისი ჯამური ქულის დაგროვების შემთხვევაში, კონკურსანტი ჩაირიცხება თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის საagენტოს საკადრო რეზერვში და ვაკანსიის გაჩენისთანავე, თბილისის სხვადასხვა საბავშვო ბაგა-ბაღში ეტაპობრივად დასაქმდება.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
293-37-87
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

◎ რას არ გაიგებ...

სარკის წინ და უსარკოდ...

სარკე ადამიანს უფრო სასარგებლო საკვების არჩევას აიძულებს, აცხადებენ, ამერიკელი მკვლევარები.

აღმოჩნდა, რომ ჭამის დროს კაცი სარკეში თუ იყურება, მავნე სურსათი მას ნაკლებად ეგემრიელება.

მეცნიერებმა 185 მოხალისეს შოკოლადის ნამცხვარსა და ხილის სალათას შორის არჩევანის გაკეთება შესთავაზეს. საჭმლის გემო მათ სარკეებიან, შემდეგ კი უსარკეებო ოთახებში უნდა შეეფასებინათ. მათ, ვინც შოკოლადის ნამცხვარს ირჩევდა, ის ნაკლებად გემრიელი ეჩვენებოდა სარკეებიან ოთახში, ხილის სალათის გემოს აღქმაზე კი სარკეების არსებობა-არარსებობა არანაირ ზეგავლენას არ ახდენდა.

ექსპერტების აზრით, სარკეში მაცქერალი კაცი საკუთარი გარეგნობის შესახებ ინფორმაციას იღებს, რაც მას საკუთარი თავის ობიექტურად შეფასების და ქცევის მიღებულ სოციალურ სტანდარტთან შედარების შესაძლებლობას აძლევს. ეს სტანდარტები, რაც უნდა იყოს, იმას გვეუბნებიან, რომ მავნე საკვების მიღება ჯანმრთელობისთვის სახიფათოა.

უფრო გრილი თუ უფრო ცხელი?

ბრიტანელი მეცნიერები ირწმუნებიან, რომ თანამშრომლებს შორის კონფლიქტების მთავარი მიზეზია... ოფისში ჰაერის ტემპერატურა.

ორი ათასი ბრიტანელის გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ათიდან შვიდი კაცი ოფისში ჰაერის ტემპერატურით უკმაყოფილოა. მათგან მესამედი ამის თაობაზე კოლეგებს ეკამათებოდა, ყოველი მერვე კი, სხვებისგან უჩუმრად, თერმოსტატს არეგულირებდა.

ბრიტანეთის ოფისებში სტანდარტული ტემპერატურა საშუალო ასაკის მამაკაცთათვის სასურველით დგინდება. მათთვის კი ყველაზე კომფორტულია ცელსიუსის 22 გრადუსი, თუმცა კი ქალებს სითბო მეტად სჭირდებათ — ისინი თავს უკეთ 25 გრადუსზე გრძნობენ.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ზის მოხუცი ქალი ზღვის სანაპიროზე, გვერდით კი მზეზე კატა თბება. მოისროლა ქალმა ანკესი ზღვაში და ოქროს თევზი ამოიყვანა.

— რაც გსურს, მოხუცო, ყველაფერს შეგისრულებ! — ეუბნება თევზი.

— მინდა კარგი სასახლე, მსურს, ვიყო მდიდარი, ახალგაზრდა და ლამაზი. ეს დაჩაჩანაკებული კატა კი გადაიქცეს ჩემზე სიგიჟემდე შეყვარებულ ულამაზეს ახალგაზრდა მამაკაცად...

ვერც დაამთავრა ნატვრა, რომ ყველაფერი ასრულდა: დგას სასახლე, თვითონ ულამაზესი გოგოა, გვერდით კი ენით აუწერელი სილამაზის ჭაბუკი უდგას. გოგო ნეტარებით მიეხუტა მას...

ჭაბუკმა, საპასუხოდ, ხავერდოვანი ხმით ამოილაპარაკა:

— ახლა კი ინანებ, რომ ვეტერინართან გყავდი კასტრაციისთვის...

* * *

მიდიხარ მეტროთი და უცებ დაინახავ გოგოს, ვისზეც მთელი ცხოვრება ოცნებობდი, შენ კი, თითქოს განგებო, გუშინდელს მერე „პახმელიაზე“ ხარ, ცოლ-შვილი გყავს და მთელი ქონებაც იპოთეკით გაქვს დატვირთული.

* * *

კპრგბად იცინის ის, ვინც ბოლოს კი არ იცინის, არამედ იცინის თბილ საწოლში, შუადღემდე სძინავს და დილაობით არსად არ ეჩქარება.

* * *

ჰოლივუდის ცერემონიალზე „ოსკარის“ ექვსგზის პრეტენდენტს ლეონარდო დი კაპრიოს ბოლოს მაინც მისცეს ეს ჯილდო „ოსკარზე“ მრავალგზის ნომინირებისთვის“.

გმადლობთ, რომ კითხულობთ ძველ და სანდო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“,
ყოველი ნომრის შეძენით თქვენ იცავთ თქვენს უფლებებს!